



გუბერნული ადრისხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური

# მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო

| SARAS.GOV.GE



## ოქტომბერი

---

განახლებული  
გამოცემა

|  |           |
|--|-----------|
| <b>შესავალი</b>  | <b>3</b>  |
| <b>მართველობის ანგარიშგების მიზანი და შინაარსი</b>   | <b>5</b>  |
| <b>ინფორმაციის განთავსება</b>  | <b>6</b>  |
| <b>ურთიერთობითობა</b>  | <b>6</b>  |
| <b>მანიუბლავი</b>  | <b>7</b>  |
| <b>არსებითობა</b>  | <b>7</b>  |
| <b>ინფორმაციის მიწოდება</b>  | <b>9</b>  |
| <b>მართველობის ანგარიშგების კომპონენტები</b>   | <b>12</b> |
| <br>   |           |
| <b>საქმიანობის მიმოხილვა</b>   | <b>13</b> |
| სუბიექტის განვითარების გეგმები   | 15        |
| ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ  | 15        |
| კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა  | 15        |
| საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები  | 16        |
| სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექმნა  | 18        |
| დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ  | 18        |
| ძირითადი რისკები და გაურკვევლობები   | 19        |
| <br>   |           |
| <b>კორპორაციული მართვის ანგარიშგება</b>  | <b>22</b> |
| კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა   | 22        |
| კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა   | 23        |
| ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა | 24        |
| აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა                        | 26        |
| მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა                         | 26        |
| მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა            | 27        |
| სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა                                   | 27        |
| <br>   |           |
| <b>არაფინანსური ანგარიშგება</b>  | <b>28</b> |
| არაფინანსური საკითხები   | 28        |
| სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა  | 36        |
| სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი   | 37        |
| საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები   | 38        |
| გამოყენებული პოლიტიკების აღწერა  | 40        |
| არაფინანსური საკითხების მიმართ გატარებული პოლიტიკის შედეგები   | 42        |
| <br>   |           |
| <b>ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე კასუხისმგებელი პირები</b>  | <b>42</b> |
| <b>ლექსიკონი</b>   | <b>43</b> |
| <b>1-ელი დანართი</b>   | <b>45</b> |

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონი (შემდგომ კანონი) მიიღო, რომლის მიზანს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და "ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის "ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის აქტებთან დაახლოება წარმოადგენს. კანონმა მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები შემოიღო. კანონის მოთხოვნები ანგარიშგებების წარდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დაინტერესების პირებმა (შემდგომ სდპ) და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში უნდა შეასრულონ, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება. კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის, სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების კანონთან შესაბამისობაზე ზედამხედველობას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ სამსახური) ახორციელებს. გამომდინარე იქიდან, რომ მმართველობის ანგარიშგება ქართული ბიზნეს სექტორისთვის სიახლეს წარმოადგენს, სამსახურმა შეიმუშავა "სახელმძღვანელო მმართველობის ანგარიშგების შესახებ" (შემდგომ სახელმძღვანელო), რომელიც სუბიექტებისთვის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესის გამარტივებასა და სათანადო ფორმით წარმოდგენას ისახავს მიზნად. სახელმძღვანელო მოქნილი, ფართო გამოყენების, სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია, რომელიც მიმდინარე საუკეთესო პრაქტიკასა და უახლეს საერთაშორისო განვითარებებს ითვალისწინებს და არ წარმოშობს ახალ სამართლებრივ ვალდებულებებს. სახელმძღვანელო ძირითად პრინციპებს ადგენს, რომელთა დაცვაც საწარმოთა ანგარიშგებების შესადარისობას უზრუნველყოფს. ამავე დროს, სახელმძღვანელო არ ზღუდავს სუბიექტებს, ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ფორმა და შინაარსი მათთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სამართლებრივ გარემოებებს მიუსადაგონ და არსებითი ინფორმაცია თანმიმდევრულად და გამართულად წარმოადგინონ. განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მმართველობის ანგარიშგების მომზადება და გასაჯაროება სუბიექტების მდგრადობასა და ფინანსური/არაფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე დადებითად იმოქმედებს. დროთა განმავლობაში, აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს სუბიექტის განვითარებას, გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობასა და პარტნიორების, ინვესტორებისა და მომხმარებლების ნდობას სუბიექტის მიმართ.

სახელმძღვანელოში შეტანილ იქნა ცვლილებები, რაც სუბიექტებს ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივით (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტებით (ESRS) განსაზღვრული ახალი მოთხოვნების შესრულებაში დაეხმარება. დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები და დირექტივის და სტანდარტების შესაბამისი დებულებები ტექსტში წითელი ფერის შრიფტითაა წარმოდგენილი.

## პრინციპი



სახელმძღვანელოს საფუძვლები წარმოდგენილია ძირითადი პრინციპების ფორმით, რომელსაც თან მოსდევს განმარტება მის შინაარსსა და გამოყენების წესზე

## ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტების ანგარიშებასთან დაკავშირებით



ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების ღირეექტივის და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების შესაბამისი თავები წარმოდგენილია, როგორც "ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშებასთან დაკავშირებით", მმართველობის ანგარიშების თითოეული შესაბამისი განყოფილების ქვეშ

## სამართლებრივი მოთხოვნები



კანონის მოთხოვნები სახელმძღვანელოში წარმოდგენილია „სამართლებრივი მოთხოვნები“-ს ფორმით. სამართლებრივ მოთხოვნებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიზანია შესაბამისი შესაბამისი სამართლებრივი ნორმების წარმოდგენა და არა მათი ანალიზი

## მაგალითები



ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების ღირეექტივის და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების შესაბამისი თავები წარმოდგენილია, როგორც "ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშებასთან დაკავშირებით", მმართველობის ანგარიშების თითოეული შესაბამისი განყოფილების ქვეშ

**კანონის თანახმად, მმართველობის ანგარიშგება სამ კომპონენტს მოიცავს:**



საქმიანობის  
მიმოხილვა



კორპორაციული  
მართვის ანგარიშგება



არაფინანსური  
ანგარიშგება

**კანონის მიხედვით, მმართველობის ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს აუდიტორის მოსაზრება მარაგულირებალ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაებთან თანხვედნილობის თაობაზე.**

მმართველობის ანგარიშგების მიზანია, დაინტერესებულ პირებს სუბიექტის საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისცეს. აღნიშნული ანგარიშგების დახმარებით, მათ შეუძლიათ, როგორც სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება, ასევე, ის, თუ რამდენად წარმატებულად შეასრულა საწარმომ დასახული მიზნები.

მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ერთიან კონტექსტს ქმნის და დაინტერესებულ პირებს მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის სუბიექტის შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიცავს ხელმძღვანელი პირების ხედვას, არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა (დადებითი და უარყოფითი გარემოებებით), არამედ იმასაც, თუ რატომ მოხდა და რა შესაძლო გავლენა ექნება მომხდარს სუბიექტის სამომავლო საქმიანობაზე, ასევე ინფორმაციას კორპორაციული მდგრადობის საკითხების, კერძოდ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების ზემოქმედების შესახებ.

არაფინანსური ანგარიშგება და მდგრადობის გარკვეული საკითხები რეგულირდება კანონით<sup>1</sup>, ხოლო ამ სახელმძღვანელოში შეტანილი ცვლილებების მიზანია, მკითხველს მიაწოდოს დამატებითი მითითებები მდგრადობისა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების (ESG) შესახებ, რომელიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივას (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტებს (ESRS) ეფუძნება (იხ. 1-ლი დანართი)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 7, 8.

<sup>2</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ESRS სტანდარტების შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნების ყველა მოთხოვნა, ESRS-2 სტანდარტის - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“ მოთხოვნების გარდა, არსებითობის შეფასებას ექვემდებარება.

## მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის განთავსება ინფორმაციის ეფექტიან მინოდებას უნდა უწყობდეს ხელს

კანონი მმართველობის ანგარიშგების კომპონენტებს ანგარიშგების დამოუკიდებელ ნაწილებად განიხილავს და იმ ინფორმაციის ჩამონათვალს ადგენს, რომლის ასახვაც სავალდებულოა თითოეულ კომპონენტში. კანონი მმართველობის ანგარიშგების შემადგენელ ნაწილებს განსაზღვრავს, მაგრამ არ ადგენს ანგარიშგების სავალდებულო სტრუქტურას.

მმართველობის ანგარიშგების შედგენისას "სტანდარტული ჩამონათვალის მიდგომის" (ცჰეცკლისტ სტყლე) გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, არ არის ეფექტური გზა თითოეულ კომპონენტში არსებული საკითხების ეფექტიანად გადმოცემისთვის. ამ მიდგომით შეიძლება კომპონენტის ისეთი სტრუქტურა მივიღოთ, რომელიც მეტ განმარტებებს მოიაზრებს და ამგვარმა დეტალიზაციამ შესაძლოა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გადაფაროს. მმართველობის ანგარიშგების კომპონენტების სტრუქტურამ წლიურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია რელევანტური და ადვილად გასაგები უნდა გახადოს.

ნაწილები, რომლებიც კანონით მოთხოვნილი არ არის (მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა), მმართველობის ანგარიშგებაში შეიძლება შედიოდეს, როგორც სავალდებულო კომპონენტის ქვესექცია ან როგორც ცალკეული არასავალდებულო სექცია, თუ ეს საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ ანგარიშგება არსებითი ინფორმაციის შემცველ და გასაგებ დოკუმენტად ჩაითვალოს.

ინფორმაციის ეფექტიანად მინოდებისთვის, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომის და საშუალების, მათ შორის, ურთიერთმიითიებების და მანიშნებლების გამოყენება.

### ურთიერთმიითიებაები

ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნებით (რომლებიც ეხება ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტს) გათვალისწინებული მსგავსი ან დაკავშირებული საკითხები ერთად დაჯგუფდეს. ეს ინფორმაციის დუბლირებას შეამცირებს და ნათლად წარმოაჩენს კავშირებს დოკუმენტის ერთ ნაწილში.

თუ მოთხოვნილი ინფორმაცია ანგარიშგების შესაბამისი კომპონენტის გარეთ, სხვა საჭაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტში არის მოცემული, დოკუმენტი ნათელ და კონკრეტულ ურთიერთმიითიებას უნდა შეიცავდეს. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის გასაჭაროების მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვლება.

მდგრადობის შესახებ ცალკეულ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ურთიერთმიითიებული მმართველობის და წლიურ ანგარიშებში.

### მანიშნებლები

მმართველობის ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეებს შეჭამებულად აწვდის ძირითად, ნაკლებად დეტალურ ინფორმაციას. თუმცა, ზოგ მომხმარებელს, შესაძლოა, უფრო მაღალი დონის დეტალიზაციით სჭირდებოდეს გარკვეული ინფორმაცია, რომლის გასაჭაროებაც შესაძლოა არ იყოს კანონით სავალდებულო. ასეთ შემთხვევაში, ეს ინფორმაცია შესაძლოა მმართველობის ანგარიშგების მიღმა იქნას წარმოდგენილი, სხვა დამატებითი ინფორმაციის სახით. ამ ინფორმაციაზე მისათითებლად, მიზანშეწონილია, მმართველობის ანგარიშგებაში მანიშნებლების გამოყენება.

მანიშნებლები დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, დეტალურად გაეცნონ დამატებით ინფორმაციას, რომელიც კონკრეტულ კომპონენტში არსებულ საკითხთანაა დაკავშირებული.

მმართველობის ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეებს შეჟამებულად აწვდის ძირითად, ნაკლებად დეტალურ ინფორმაციას. თუმცა, ზოგ მომხმარებელს, შესაძლოა, უფრო მალალი დონის დეტალიზაციით სჭირდებოდეს გარკვეული ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაც შესაძლოა არ იყოს კანონით სავალდებულო. ასეთ შემთხვევაში, ეს ინფორმაცია შესაძლოა მმართველობის ანგარიშგების მიღმა იქნას წარმოდგენილი, სხვა დამატებითი ინფორმაციის სახით. ამ ინფორმაციაზე მისათითებლად, მიზანშეწონილია, მმართველობის ანგარიშგებაში მანიშნებლების გამოყენება.

მანიშნებლები დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, დეტალურად გაეცნონ დამატებით ინფორმაციას, რომელიც კონკრეტულ კომპონენტში არსებულ საკითხთანაა დაკავშირებული.



## გაგალითი

სუბიექტმა მმართველობის ანგარიშგებაში ჟამური დადასტურებული და სავარაუდო რეზერვები შეიძლება ასახოს, როგორც საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. დამატებით, ამ ინფორმაციის გასწვრივ, სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს მანიშნებელი იმ დოკუმენტზე ან ამავე ანგარიშგების სხვა სექციაზე, რომელშიც აღნიშნული ჟამური ინფორმაცია უფრო დეტალურადაა ასახული.

## არსებითობა

ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამორჩენა ან არასწორად წარმოდგენა გავლენას მოახდენს აქციონერთა/პარტნიორთა მიერ მმართველობის ანგარიშგების, როგორც ერთი მთლიანი დოკუმენტის საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

### ორგანიზაციის არსებითობის კონცეფცია

ინფორმაცია ფინანსური თვალსაზრისით არსებითია, თუ მისი გამორჩენა ან არასწორი წარმოდგენა მმართველობის ანგარიშგებაში გავლენას მოახდენს აქციონერების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ინფორმაცია ზემოქმედების თვალსაზრისით არსებითია, თუ ის ეხება არსებულ ან პოტენციურ, დადებით ან უარყოფით, მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან ზემოქმედებას ადამიანებზე ან

რეკომენდებულია, რომ მმართველობის ანგარიშებამ მხოლოდ ისეთი ინფორმაცია მოიცვას, რომელიც არსებითი იქნება ანგარიშების მომხმარებლებისთვის. არსებითი შეიძლება იყოს, როგორც ფინანსური, ასევე, არაფინანსური ინფორმაცია. ანგარიშებაში არ უნდა აისახოს არაარსებითი ინფორმაცია, რათა არ მოხდეს ანგარიშების ძირითადი გზავნილების დაკარგვა და დოკუმენტში გაურკვეველობის შეტანა.

არსებითობა ყოველი სუბიექტისათვის ინდივიდუალური მახასიათებელია, რომელიც არსებული ან მოსალოდნელი შედეგების ბუნებასა და მნიშვნელობაზე დამოკიდებული. სუბიექტი ინფორმაციის არსებითობას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის სუბიექტის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის გასაგებად. არსებითი ინფორმაციის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შიდა და გარე ფაქტორები.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივისა (CSRD) და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, ორმაგი არსებითობის კონცეფცია<sup>3,4</sup> უნდა გამოიყენონ. ეს გულისხმობს მდგრადობის ინფორმაციის რელევანტურობის განხილვას არა მარტო სუბიექტის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის გასარკვევად (ფინანსური არსებითობა), არამედ ადამიანებსა და გარემოზე სუბიექტის ზემოქმედების შესასწავლადაც (ზემოქმედების არსებითობა). სუბიექტებმა ასევე უნდა გაამუშავონ ინფორმაცია მათ მიერ არსებითობის განსაზღვრის მიზნით განხორციელებული პროცესის შესახებ<sup>5</sup>.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ:

- ა) ხარისხობრივი მაჩვენებლები, ხშირ შემთხვევაში, მმართველობის ანგარიშების კონტექსტში უფრო მეტ გავლენას ახდენს ინფორმაციის არსებითობის განსაზღვრაზე, ვიდრე ფინანსური ანგარიშების კონტექსტში.
- ბ) ფინანსურ ანგარიშებაში ინფორმაციის არსებითობის განსაზღვრა, როგორც წესი, დამოკიდებულია საანგარიშებო პერიოდში თითოეული შემადგენელი ნაწილის ფარდობით სიდიდეზე /მნიშვნელობაზე სხვა ნაწილებთან მიმართებით. მმართველობის ანგარიშების ქრილში კი, ინფორმაციის არსებითობის განსაზღვრისას, შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული საკითხის სამომავლო გავლენის მოსალოდნელი მასშტაბი სუბიექტის საქმიანობაზე, მდგომარეობაზე, განვითარებასა და პერსპექტივებზე.

<sup>3</sup> ორმაგი არსებითობის ცნება განსაზღვრულია ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივით (CSRD) და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტით, კერძოდ ESRS 1-ით - „ზოგადი მოთხოვნები“.

<sup>4</sup> გლობალური ანგარიშების ინიციატივა (GRI) ასევე იყენებს ორმაგი არსებითობის ცნებას, ხოლო მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ISSB) იყენებს ფასს ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამის განმარტებას, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია არსებითია თუ მისი გამორჩენა, ბუნდოვანება ან არასწორად წარმოდგენა სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე.

<sup>5</sup> მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტი (ESRS) S1 იძლევა მითითებებს ისეთი ინფორმაციის იდენტიფიცირების შესახებ, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს მდგრადობის ანგარიშებაში (იხ. დანართი „ვ“).





## გაკალითი

სუბიექტმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ დაფინანსებული სოციალური პროექტების ხარჯი, შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, არ არის არსებითი საკითხი, მასზე ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებითი შენიშვნის გასაკეთებლად. ამავდროულად, შეიძლება ჩათვალოს, რომ ამავე პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენა არსებით ინფორმაციას წარმოადგენს მმართველობის ანგარიშგებისთვის.

მმართველობის ანგარიშგების კონტექსტში, ინფორმაციის არსებითობის განსაზღვრის მიდგომა ყოველწლიურად უნდა გადაიხედოს, რათა დარწმუნებით ითქვას, რომ გასულ საანგარიშგებო პერიოდში არსებითად მიჩნეული ინფორმაცია კვლავაც არსებითი რჩება ყველა იმ ფაქტისა და გარემოების ფონზე, რომელიც სუბიექტის საქმიანობაზე ახდენს გავლენას.



## გაკალითი

საწარმომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მის ოფისებსა და ფილიალებში წყლის მოხმარება, შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, არ არის არსებითი საკითხი. ამავდროულად, შეიძლება ჩათვალოს, რომ იმ პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენა, რომელთაც ის აფინანსებს, არსებით ინფორმაციას წარმოადგენს.

## ინფორმაციის მიწოდება

ინფორმაციის მიწოდების პრინციპები სუბიექტებს მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული განმარტებების ხარისხობრივ მახასიათებლებზე აძლევს მითითებებს.

**მმართველობის ანგარიშგება  
მიუკერძოებელი, დაბალანსებული და  
გასაგები უნდა იყოს**

მმართველობის ანგარიშგება ღიად და მიუკერძოებლად უნდა მოიცავდეს სუბიექტის განვითარების, საქმიანობის, მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების დადებით და უარყოფით მხარეებს. სუბიექტმა მმართველობის ანგარიშგება მარტივ და გასაგებ ენაზე უნდა შეადგინოს. ამასთან, არ არის რეკომენდებული სპეციფიკური ტერმინების გამოყენება, რომელიც მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის არის გასაგები. რაც შეეხება სამრეწველო დარგისთვის დამახასიათებელ ტერმინებს, მათი გამოყენების შემთხვევაში, ისინი ნათლად და თანამიმდევრულად უნდა განიმარტოს.

ანგარიშგების წარდგენის მეთოდმა შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს მმართველობის დოკუმენტში არსებული ინფორმაციის გაგებაზე. წარდგენის ოპტიმალური/დაბალანსებული მეთოდი დამოკიდებულია ინფორმაციის ბუნებაზე და ტექსტთან ერთად ცხრილებს, გრაფიკებს ან/და ილუსტრაციებს შეიძლება მოიცავდეს.

**მმართველობის ანგარიშგება უნდა იყოს ყოველმხრივი, მარტივ ლაკონური**

ინფორმაციის ყოველმხრივობა ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებას გულისხმობს და არა საკითხების ზედმეტად დეტალიზაციას. შესაბამისად, სავალდებულო არ არის მმართველობის ანგარიშგებამ დეტალურად დაფაროს ყველა შესაძლო საკითხი, იმისათვის რომ ყოველმხრივად ჩაითვალოს. თუმცა, ყოველ კონკრეტულ საკითხზე გასაჭაროებული ინფორმაციის სიღრმე, ამ საკითხის არსებითობასა და შინაარსზეა დამოკიდებული. ამასთან, მმართველობის ანგარიშგება უნდა იყოს ლაკონური, რაც გულისხმობს ანგარიშგებაში მხოლოდ არსებითი ინფორმაციის წარდგენას, მათ შორის მდგრადი განვითარების შესახებ, და ტექსტში გამეორებების შეზღუდული რაოდენობით არსებობას, შაბლონებისთვის თავის არიდებას, ურთიერთმინიშნებების, ცხრილების, გრაფიკების და თვალსაჩინოებების გამოყენებას.

**მმართველობის ანგარიშგება მომავალზე ორიენტირებული უნდა იყოს**

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება კონკრეტულმა ფაქტმა ან გარემოებამ გავლენა მოახდინოს სუბიექტზე, იმ შემთხვევაში უნდა იყოს მოცემული მმართველობის ანგარიშგებაში, თუ ის არსებითია სუბიექტის საქმიანობის განვითარების, მდგომარეობის ან სამომავლო პერსპექტივების შეფასებისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ არ არის სავალდებულო ეს ინფორმაცია მოიცავდეს აღნიშნული გარემოებებიდან გამომწვეული სამომავლო ფინანსური შედეგების პროგნოზს.

მმართველობის ანგარიშგება არ უნდა იყოს ფოკუსირებული ერთ კონკრეტულ პერიოდზე. ანგარიშგება უნდა შეიცავდეს კონკრეტული ფაქტისა და გარემოების მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ქრონოლოგიას, თუ ეს დაეხმარება ანგარიშგებით დაინტერესებულ პირებს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, მდგომარეობის ან სამომავლო პერსპექტივების უკეთ გაგებაში.

მმართველობის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელი პირების ხედვას სუბიექტის საქმიანობის მიმართულების შესახებ. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მოხმარებლებს სუბიექტის განვითარების, მდგომარეობისა და საქმიანობის მდგრადობის უკეთესად შეფასების საშუალებას აძლევს. მისი დახმარებით, მომხმარებლებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის პროცესში მიღწეული პროგრესის გაზომვა შეეძლება.

მომავალზე ორიენტირებული ანგარიშგება (მაგალითად, ინფორმაცია სუბიექტის განვითარების გეგმების შესახებ) მოგვიანებით, შესაძლოა, ისტორიული ინფორმაციის მატარებელი დოკუმენტის სახით (შედეგების ნაწილში) მოგვევლინოს.

ზემოთ აღნიშნული ხელს არ უშლის კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან სიფრთხილით მოპყრობას. ამგვარი ინფორმაციის გასაჭაროება მიზანშეწონილი და სავალდებულო არ არის, თუმცა ის, შესაძლოა დაკონკრეტების გარეშე, განზოგადოებულად იქნას წარმოდგენილი და, მიუხედავად ამისა, ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ღირებული იყოს.

**მმართველობის ანგარიშგებაში  
ყურადღება წარმოდგენილი  
ინფორმაციის ნაწილებს შორის არსებულ  
კავშირებსა უნდა გააანალიზდეს და  
განიმარტოს ასეთი კავშირები**

მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ფაქტებსა და გარემოებებს შორის, როგორც წესი, მიზეზშედეგობრიობა და ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, რომლებიც კავშირებს წარმოადგენენ. მართალია, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ცალკეული ნაწილები დამოუკიდებლად საინტერესოა, მაგრამ მათ შორის არსებული კავშირების ხაზგასმითა და განმარტებით, მომხმარებელს ინფორმაცია უფრო ეფექტიანად მიეწოდება.

მმართველობის ანგარიშგების კომპონენტები არ უნდა მომზადდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. დოკუმენტის მომზადებისას ინტეგრირებული მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული, რაც დოკუმენტის მომზადებაში ჩართული პირების ერთმანეთთან კოორდინაციასა და შეთანხმებულ მოქმედებას გულისხმობს. მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების შესახებ ანგარიშგების შედეგებისას საჭიროა სუბიექტის შესაბამისი დეპარტამენტების იმ წარმომადგენლებთან კონსულტაცია, რომლებიც ფლობენ აღნიშნულ ინფორმაციას. ანგარიში უნდა დამტკიცდეს მმართველობითი ორგანოს (ხელმძღვანელის) და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მხოლოდ კოორდინირებული და შეთანხმებული მოქმედებებით შესაძლებელია იმის მიღწევა, რომ დოკუმენტში, კომპონენტებს შორის არსებული ყველა რელევანტური კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება გამოვლინდეს, რაც, შემდგომ, ნათლად უნდა აისახოს ურთიერთმიმართებებისა და მანიშნებლების საშუალებით. ზემოხსენებული კავშირების მითითების ოპტიმალური მეთოდი დასაკავშირებელი ინფორმაციის ბუნებაზე დამოკიდებულია. თუ სუბიექტი ურთიერთმიმართებებს ან დამაკავშირებელ მითითებებს გამოიყენებს, მან სათანადოდ უნდა განმარტოს არსებული კავშირის ბუნება და ინფორმაციის ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კავშირის არსებობის ხაზგასმით.

ცხადია, შეუძლებელია მმართველობის ანგარიშგებაში არსებული ყველა კავშირის ხაზგასმა და განმარტება, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშგება ლაკონური და გასაგები უნდა იყოს. შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ კავშირებს, რომლებიც ყველაზე რელევანტურია ბიზნესის საქმიანობის განვითარების, მდგრადობისა და სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად.

იმისათვის, რომ მმართველობის ანგარიშგების სტრუქტურა და ინფორმაციის წარდგენის მიდგომა ეფექტიანობას ინარჩუნებდეს, რეკომენდებულია, ამ საკითხის ყოველწლიური გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მიდგომის განახლება. საკითხის მიმართ მსგავსი, ინოვაციური მიდგომა, წარდგენილ ინფორმაციას უფრო ადვილად აღქმადს ხდის. გასული პერიოდებიდან გადმოტანილი ნებისმიერი ინფორმაცია უნდა შემოწმდეს იმის დასადასტურებლად, რომ იგი ჭერ კიდევ რელევანტურია. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მმართველობის მიზნების კონტექსტში რელევანტური აღარ არის, ანგარიშგებიდან ამოღებულ უნდა იქნეს.



## საქმიანობის მიმოხილვა

საზოგადოებრივი დაინტერესების პირი,  
პირველი და მეორე კატეგორია



## კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ანგარიშვალდებული სუბიექტები, რომელთა  
ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე  
სავაჭროდაა დაშვებული



## არაფინანსური ანგარიშგება

სდპ, რომელიც შეესაბამება I კატეგორიის  
სუბიექტის ზომით კატეგორიას, ამასთანავე,  
საანგარიშგებო პერიოდში საშუალო  
დასაქმებულთა რაოდენობა (დსრ) აღემატება  
500-ს<sup>6</sup>

## მიზანი

დაადგინოს მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების კონტექსტი; ასახოს სუბიექტის საქმიანობის განვითარება და მდგომარეობა; აღწეროს ძირითადი რისკები და ის, თუ როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა მოახდინონ სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე; წარმოადგინოს სუბიექტის წარსული საქმიანობის ანალიზი;

ასახოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეუწყოს ხელი სუბიექტის ხელმძღვანელი პირების სტრუქტურის შემადგენლობამ და ორგანიზაციულმა მოწყობამ სუბიექტის მიზნების განხორციელებას.

წარმოადგინოს ინფორმაცია სუბიექტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე; აღწეროს დასაქმებულთა, ადამიანის უფლებების პატივისცემასთან და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებული მიდგომები, შედეგები და რისკები; დეტალურად გაამჟღავნოს მისი საქმიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი გავლენა გარემოს მდგომარეობაზე.

<sup>6</sup> 2025 წლიდან ევროკავშირი გარკვეული კომპანიებისგან მოითხოვს მდგრადობის ანგარიშგების წარდგენას მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) შესაბამისად, ეს კომპანიებია:

- მსხვილი კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგი კრიტერიუმებიდან ორს მაინც: (ი) დასაქმებულთა რაოდენობა 250 -ზე მეტი, (იი) სუფთა ბრუნვა - 40 მლნ ევროზე მეტი; ან (იიი) მთლიანი აქტივების მოცულობა - 20 მლნ. ევროზე მეტი;
- ევროკავშირის რეგულირებულ ბაზრებზე კოტირებული კომპანიები, მიკროსაწარმოების გარდა;

## საქმიანობის მიმოხილვა

### სამართლებრივი მოთხოვნები

#### საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს სუბიექტის:

- ა) საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, რაც შედგება შემდეგისგან:
  - სუბიექტის განვითარების გეგმები;
  - ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
  - კვლევებისა და განვითარების სფეროში
  - ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
  - აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
  - ინფორმაცია საკუთარი აქციების
  - შექმნის შესახებ;
  - წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ
  - დამატებითი განმარტებები.
  -
- ბ) ძირითად რისკებსა და გაურკვევლობებს

სამართლებრივი მოთხოვნების ჩარჩოში მითითებული ინფორმაციის მიმღევრობა არ წარმოადგენს წლიური ანგარიშგების სტრუქტურას.

## საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგების ან მდგომარეობის გასაგებად აუცილებელია, მისი საქმიანობის მიმოხილვა იმ ძირითად ტენდენციებსა და ფაქტორებს მოიცავდეს, რომელთაც სუბიექტის საქმიანობის განვითარებაზე, შედეგებზე ან მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. სუბიექტის ხელმძღვანელმა პირებმა სუბიექტის საქმიანობის აღწერა უნდა წარმოადგინონ, რათა ანგარიშგებებით დაინტერესებულ პირებს სუბიექტის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღებასა და იმ გარემოებების სათანადოდ შეფასებაში დაეხმარონ, რომელთა პირობებშიც სუბიექტი მოქმედებს. სასურველია, რომ მმართველობის ანგარიშგების ამ ნაწილში სუბიექტმა წარმოადგინოს განვითარების შედეგები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა წინა პერიოდთან იყოს შედარებული.

მმართველობის ანგარიშგება შინაარსობრივად თანმიმდევრული უნდა იყოს. მსგავსი მიდგომა მომხმარებლებს სუბიექტის საქმიანობის, განვითარების, მდგომარეობის ან შედეგების კუთხით გასული და მიმდინარე ცვლილებების შეფასების, სუბიექტის სამომავლო გეგმების განსაზღვრისა და ყოველივე ამის მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციასთან დაკავშირების საშუალებას აძლევს.



## მაგალითი

სუბიექტს საქმიანობის მიმოხივლის ამ ნაწილში შეუძლია განვითარებისთვის დასახული მიზნები წარმოადგინოს, მათ შორის: პროდუქტზე ორიენტირება, მომხმარებელთან ურთიერთობის გაუმჯობესება, თანამშრომლების მოტივირება, საოპერაციო ეფექტიანობის ზრდა, ავტომატიზაცია, გაცემული დივიდენდების ან ინვესტიციების ზრდა. სასურველია, სუბიექტმა თითოეული მიზნის მიღწევისთვის დასახული გეგმები ასახოს.

სუბიექტის ძირითადი მიღწევების შეჯამება შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ხელმძღვანელი პირის წერილობითი ფორმის მიმართვის სახით.

სუბიექტის საქმიანობის ბუნების გათვალისწინებით, ანგარიშგება შეიძლება ასევე მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- სუბიექტის საქმიანობის სახე; სუბიექტის ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა ბაზრებზე;
- სამართლებრივი, მარეგულირებელი და მაკროეკონომიკური გარემოს
- მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები, რომლებიც გავლენას ახდენს თავად სუბიექტსა და იმ ბაზრებზე, რომელზეც ეს სუბიექტი მოქმედებს;
- სუბიექტის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადის-
- ტრიბუციო მეთოდები;
- სუბიექტის შიდა სტრუქტურა და ის, თუ როგორ ქმნის ბაზარზე ღირებულებას.
- იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტს ევალება კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა, სასურველია მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია სუბიექტის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე მდგრადობის საკითხების ზემოქმედების შესახებ<sup>7</sup>. ეს გულისხმობს ინფორმაციის გამჟღავნებას იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინა (ან შეიძლება მომავალში მოახდინოს) გავლენა მდგრადობასთან დაკავშირებულმა არსებითმა რისკებმა და შესაძლებლობებმა სუბიექტის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

კომპანიის საქმიანობაზე გავლენის მომხდენი ტენდენციები და ფაქტორები შესაძლებელია მომდინარეობდეს როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. ასეთმა ფაქტორებმა შესაძლოა სუბიექტის საქმიანობაზე, განვითარებაზე ან მდგომარეობაზე ზეგავლენა იქონიოს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ან, გარკვეულ შემთხვევაში, კომპანიის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებული შესაძლებლობების ან რისკების წარმოქმნას შეუწყონ ხელი.

<sup>7</sup> აღნიშნული მაგალითად მოიცავს კომპანიების ფინანსურ გეგმებზე და მდგომარეობაზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას, როგორცაა სუფთა ენერჯის გამოყენებაზე გადასვლის ხარჯი და ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობების გამო ინფრასტრუქტურის და მიწოდების ჯაჭვის მოშლა.



## გაგალითი

საქმიანობის მიმოხილვაში სუბიექტს შეუძლია მიუთითოს, რომ ბაზარი, რომელზეც იგი მოქმედებს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებითად გაიზარდა. თუ შესაძლებელი იქნება, სუბიექტმა ასევე უნდა მიუთითოს, თუ რამდენად გაიზარდა ეს ბაზარი და წარადგინოს კვლევის ან ანგარიშის ბმული, საიდანაც აიღო ეს სტატისტიკური მონაცემები.

## სუბიექტის განვითარების გეგმები

მიზანშეწონილია, ანგარიშგების ამ ნაწილში სუბიექტმა წარმოადგინოს ინფორმაცია მოსალოდნელი განვითარების შესახებ. ხელმძღვანელმა პირებმა სუბიექტის მიზნები და გეგმები იმისათვის უნდა გაასაჯაროონ, რომ ანგარიშგებებით დაინტერესებული პირები გაეცნონ სუბიექტის სამოქმედო პრიორიტეტებსა და რესურსებს, რომლებსაც სუბიექტი შედეგის მისაღებად იყენებს.

სუბიექტის განვითარების გეგმები იმ ტენდენციებისა და ფაქტორების დეტალურ ანალიზს უნდა მოიცავდეს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს სუბიექტის საქმიანობაზე, განვითარებაზე ან მდგომარეობაზე.

## ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

საქმიანობის მიმოხილვა უნდა მოიცავდეს სუბიექტის ფილიალების აღწერას, მათ შორის, მდებარეობას, ზომას, დაარსების მიზანს, მნიშვნელობასა და როლს სუბიექტების საქმიანობაში. სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარისთვის არსებითია ამ საკითხის უშუალო ან მოსალოდნელი გავლენა სუბიექტის საქმიანობის განვითარებაზე, მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე.

## კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების (ლ&D)<sup>8</sup> მიმოხილვა მოიცავს ისეთი ინოვაციური ღონისძიებების აღწერას, რომლებიც ახალი ან უკვე არსებული სერვისების ან პროდუქტების განვითარებასა და გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. საქმიანობის მიმოხილვის ამ ნაწილში, უპირველეს ყოვლისა, კვლევებისა და განვითარების კუთხით მიმდინარე ღონისძიებების მიზნები უნდა იყოს წარმოდგენილი. გარდა ამისა, მიმოხილვა უნდა მოიცავდეს თითოეული

<sup>8</sup> აღნიშნული ტერმინი სტანდარტში წარმოდგენილია შემდეგნაირად: „სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები“



## გაკალთი

ისეთ ბაზარზე, რომელზეც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წილი სწრაფად იზრდება, მოქმედ სუბიექტს შეუძლია კვლევა ჩაატაროს იმ მიზნით, რომ შემდგომში თავისი საქონელი ბუნებრივი ინგრედიენტებისგან, გადამუშავებადი მასალისგან და ბიოდეგრადირებადი ნივთიერებისგან აწარმოოს, რაც, საბოლოო ჯამში, სუბიექტს, ამგვარი "ეკო-პროდუქციის" გამოშვებით, თავისი გაყიდვების გაზრდის საშუალებას მისცემს. მსგავსი კვლევები და მათი შემდგომი დანერგვა, ისევე, როგორც ამ კვლევების პოტენციური უკუგება, გამოხმაურება და მომავალი გავლენა, სასურველია აისახოს მმართველობით ანგარიშგებაში.

## საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საქმიანობის მიმოხილვის ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც სუბიექტის მიზნებისა და გეგმების კუთხით მიღწეული პროგრესის შესაფასებლად, ძირითადი რისკების მონიტორინგისათვის, ან სუბიექტის საქმიანობის განვითარებისა და მდგომარეობის აღსაწერად ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა ხელმძღვანელი პირების მიერ. ამგვარი მაჩვენებლები, როგორც წესი, ხელმძღვანელი პირების მიერ საწარმოს სამართავად გამოიყენება და საწარმოს შესახებ სრულ წარმოდგენას ქმნის, რაც დაინტერესებულ პირებს სუბიექტის მიღწევების შეფასების საშუალებას აძლევს.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი. ხელმძღვანელმა პირებმა, ანგარიშგებაში უნდა ასახონ მაჩვენებლების ცვლილება გასულ საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით ახსნან ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზები. ასეთი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებით დაინტერესებულ პირებს იმის შეფასებაში ეხმარება, თუ რამდენად არის სუბიექტის მიზნები და გეგმები განხორციელებული. ასევე, თუ გამოყენებული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები საზოგადოდ არის დამკვიდრებული, როგორც მრეწველობის კონკრეტულ დარგში, ისე ზოგადად, მოსალოდნელია, რომ გაიზრდება შესადარისობა საწარმოებს შორის.



## გაკალთი

სუბიექტს საქმიანობის მიმოხილვის ამ ნაწილში ისეთი მაჩვენებლების ასახვა შეუძლია, როგორცაა: მომხმარებლების, თანამშრომლების, ფილიალების რაოდენობა, ინტერნეტ აპლიკაციის გამოყენებადობა, საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მომხმარებლის საჭიროებებზე ზრუნვა, თანამშრომელთა კეთილდღეობა, სავაჭრო ურთერთობები და ა.შ. შესადარისობისთვის სასურველია, სუბიექტმა გამოკვეთოს ცვლილებები და მათი ანალიზი გასულ საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით. ასევე, შეუძლია სიტყვიერად განავრცოს რაოდენობრივი მაჩვენებლები და შედეგების მიღწევის გზები.



სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებებში ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების თანმიმდევრული ასახვა ზრდის ამ ანგარიშგებების ერთმანეთთან შესადარისობას. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელმა პირებმა უნდა დაადგინონ, არის თუ არა კვლავ რელევანტური მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის გასულ პერიოდში გამოყენებული როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური მაჩვენებლები. თუ სუბიექტის გეგმები და მიზნები იცვლება, ხელმძღვანელმა პირებმა შესაძლოა გადაწყვიტონ, რომ გასული პერიოდის ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლები აღარ არის არსებითი. როდესაც ხელმძღვანელი პირები უკვე გამოყენებულ მაჩვენებლებს ცვლიან, ასეთი ცვლილებები საქმიანობის მიმოხილვის ამ ნაწილში სათანადოდ უნდა აიხსნას და განიმარტოს. ამასთან, ხელმძღვანელმა პირებმა უნდა განმარტონ, თუ რატომ მიიჩნევენ გამოყენებულ საქმიანობის შედეგების, როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ მაჩვენებლებს რელევანტურად.

სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საქმიანობის მიმოხილვის ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს არაფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც დასაქმებულებთან, საზოგადოებასთან<sup>9</sup> და გარემოს დაცვის საკითხებთან არის დაკავშირებული. ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებული ყველა რელევანტური პოლიტიკის აღწერას და ამ პოლიტიკების ეფექტურობის მიმოხილვას უნდა მოიცავდეს.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივისა (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია მდგრადობის საკითხებთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით დროში განწერილი სამიზნე მაჩვენებლებისა და ინდიკატორების შესახებ, ასევე იმ ინდიკატორების შესახებ, რომლებიც სუბიექტის ბიზნესმოდელში, სტრატეგიაში, კორპორაციულ მმართველობასა და რისკების მართვაში მდგრადობის საკითხების ინტეგრირებას უკავშირდება.

თუ მმართველობის ანგარიშგება ზემოთ აღწერილ ინფორმაციას არ მოიცავს იმ მიზეზით, რომ იგი სუბიექტის განვითარების, საქმიანობისა და მდგრადობის გასაგებად საჭირო არ არის, სასურველია მმართველობის ანგარიშგებაში შესაბამისი მითითება გაკეთდეს.

საჭიროების შემთხვევაში, სუბიექტმა საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს, თუ ეს ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს თითოეული მაჩვენებლის უკეთ გაგებაში დაეხმარება.



## გაკალითი

საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებზე სუბიექტს შემდეგი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა შეუძლია:

- ა) განმარტება და დაანგარიშების მეთოდი;
- ბ) მიზანი;
- გ) მონაცემთა ძირითადი წყარო;
- დ) მნიშვნელოვანი დაშვება; და
- ე) წინა ფინანსურ წლებთან შედარებით დაანგარიშების მეთოდში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული მნიშვნელოვანი ცვლილებები ბულალტრული აღრიცხვის კუთხით, რომლებიც მაჩვენებლებზე ახდენენ გავლენას.

<sup>9</sup> ეს დამატება რეკომენდებულია იმ კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ, გამოიყენონ ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტები.

თუ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლი (ლინე-იტემ) ან საზოგადოდ/დარგში დამკვიდრებული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებელი ანგარიშგებაში შეცვლილი ფორმით ან/და შინაარსით არის გამოყენებული, ნათლად უნდა აიხსნას ცვლილების მიზეზები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შეცვლილი მაჩვენებლის დასახელება ხაზს უსვამდეს აღნიშნული მაჩვენებლის განსხვავებას საზოგადოდ ან დარგში დამკვიდრებული მაჩვენებლისგან. სადაც შესაძლებელია, ეს მაჩვენებელი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებთან უნდა შეჯერდეს (რეკონსილაცია) და აიხსნას განხორციელებული არსებითი ცვლილება.



## გაკალითი

თუ შემოსავალი გადასახადების, საპროცენტო ხარჯის, ცვეთის, ამორტიზაციისა (EBITDA) და რესტრუქტურის ხარჯების გამოკლებამდე გამოყენებულია, როგორც საქმიანობის ძირითადი მაჩვენებელი, იგი შესაძლებელია წარდგენილ იქნას შემდეგი დასახელებით - „EBITDA რესტრუქტურის ხარჯებამდე“ ან სხვა მსგავსი ტერმინით. ასეთ შემთხვევაში, ანგარიშგებაში გამოყენებული შეცვლილი მაჩვენებელი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებთან უნდა შეჯერდეს და დასაბუთდეს მისი გამოყენების მიზეზები.

ერთმანეთის მსგავსი საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური) ნათლად უნდა იმიჯნებოდეს ერთმანეთისაგან.

## სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექენა

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექენის შესახებ, დეტალურად უნდა გასაჯაროვდეს მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილში. ინფორმაცია საკუთარი აქციების შექენის შესახებ, უნდა მოიცავდეს შექენის მიზეზს, შექენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში საბალანსო ღირებულებასა და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივ მაჩვენებელს.

მმართველობის ანგარიშგებაში უნდა აისახოს ინფორმაცია სუბიექტის მიერ აქციების შექენისა და გასხვისებისათვის განხორციელებული საკასუხო შესრულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ შექენილი აქციები სუბიექტის საკუთრებაში რჩება და არ ხდება მათი გასხვისება, უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია ასეთი აქციების რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში საბალანსო ღირებულებისა და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებლის) შესახებ.

## დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

საქმიანობის მიმოხილვაში წარმოდგენილმა ანალიზმა უფრო სრულყოფილად უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია და, სადაც რელევანტურია, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე დამატებითი განმარტებები ასახოს. ასევე, სასურველია იმ პირობებისა და მოვლენების აღწერა, რომლებმაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია წარმოშვა.



## გაგალითი

სადაც რელევანტური იქნება, საქმიანობის მიმოხილვა შეიძლება შეიცავდეს განმარტებებს შემდეგ საკითხებზე:

- ა) კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებული ნაკისრი ვალდებულებების არსებობა და ვადა;
- ბ) წლიდან წლამდე დამდგარი ცვლილებები ამონაგებში (ე.წ. ამონაგების ხიდი), რომელიც გამოწვეულია ორგანული ზრდის, აქციების შესყიდვის, უცხოური ვალუტის გავლენის შედეგად და ა.შ;
- გ) სუბსიდირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (მაგ., ცვლილებები ნეტო ვალში ან გრძელვადიანი ვალდებულებების დაფინანსების გზები).

საქმიანობის მიმოხილვა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სუბიექტის მდგრადობის და მატერიალური და არამატერიალური რესურსების შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ისეთ მუხლებს, რომლებიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. სუბიექტის საქმიანობის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს:

- რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე;
- მომხმარებლები;
- ბუნებრივი რესურსები;
- დასაქმებულები;
- კვლევა და განვითარება;
- ინტელექტუალური კაპიტალი;
- ლიცენზიები, პატენტები, სავტორო უფლებები და სასაქონლო ნიშნები;
- სუბიექტის პოზიცია ბაზარზე.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქმიანობის მიმოხილვით გათვალისწინებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უნდა შემოიფარგლებოდეს იმით, რასაც ხელმძღვანელი პირები არსებითად მიიჩნევენ სუბიექტის საქმიანობის განვითარების, მდგრადობისა და სამომავლო პერსპექტივებისთვის. ძირითადი რისკების მიმოხილვა შეიძლება მოიცავდეს სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და ფულადი ნაკადების რისკებს და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ, ასევე, ინფორმაციას სუბიექტის იმ მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ, რომელიც ძირითადი რისკების მართვასთან არის დაკავშირებული.

საქმიანობის მიმოხილვაში მოხსენიებულ რისკებსა და გაურკვევლობებზე ხელმძღვანელი პირების მხრიდან მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მონიტორინგი, რომლის მეთოდოლოგია და შედეგები რეკომენდებულია აისახოს ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს არსებითი რისკების (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური) სრული ჩამონათვალი და თითოეული რისკის კონკრეტული აღწერა, რაც ანგარიშგებით დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას მისცემს დაადგინოს, როგორ შეიძლება აღნიშნულმა რისკმა ზიანი მიაყენოს სუბიექტს.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივის (CSRD) და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების დანერგვას აპირებენ, ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების შეფასების ფარგლებში, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებიც უნდა შეაფასონ. ეს მოიცავს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი კომპანიების რისკის საერთო პროფილზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული წყალდიდობის და გვალვის მზარდი რისკების ზემოქმედებას ან ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობებისა და ზღვის დონის აწევის რისკების ზემოქმედებას უძრავი ქონების და დაზღვევის სფეროებზე.

### ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშებასთან დაკავშირებით



მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები არის გაურკვეველი გარემოსდაცვითი, სოციალური ან მმართველობითი მოვლენები ან პირობები, რომლებმაც მატერიალიზაციის შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიონ პოტენციური არსებითი უარყოფითი ზემოქმედება სუბიექტის ბიზნესმოდელზე, ზოგად სტრატეგიასა და მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე, მიზნების და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის, ასევე ღირებულების შექმნის უნარზე. ამგვარად, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით სუბიექტის გადაწყვეტილებებზე და მის საქმიან ურთიერთობებზე. ნებისმიერი სხვა რისკის მსგავსად, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები არის ზემოქმედების სიდიდის/მასშტაბის და მოვლენის ხდომილების ერთობლიობა.  
წყარო: ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“<sup>10</sup>

ძირითადი რისკების მართვასთან დაკავშირებული მიზნებისა და პოლიტიკის ნაწილში წარმოდგენილმა ინფორმაციამ სრულად უნდა მოიცვას, როგორც რისკების ალბათობისა და იმ გარემოებების აღწერა, რომელთა პირობებშიც აღნიშნულ რისკებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სუბიექტზე, ასევე, ამ რისკების შესაძლო ეფექტების შეფასება და აღწერა.

სუბიექტის ხელმძღვანელმა პირებმა ის ძირითადი რისკები უნდა გაასაჯაროონ, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ სუბიექტის გეგმებსა და ღირებულებაზე შემდეგ სფეროებში: სტრატეგიული, კომერციული, ოპერაციული და ფინანსური. რისკებისა და გაურკვევლობების აღწერა იმდენად კონკრეტული უნდა იყოს, რომ პარტნიორმა/აქციონერმა შეძლოს იმის გაგება, რატომ არის არსებითი მათი ანგარიშებაში აღნიშვნა. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგი საკითხების აღწერას:

- რისკის ალბათობა;
- ის გარემოებები, რომელშიც რისკი შეიძლება ყველაზე რელევანტური იყოს სუბიექტისათვის;
- რისკის შესაძლო ეფექტები.

თუ რისკი ან გაურკვევლობა ზოგადია, მისი აღწერიდან უნდა ირკვეოდეს, როგორ შეიძლება მან სუბიექტს კონკრეტული ზიანი მოუტანოს.

<sup>10</sup> [https://www.efrag.org/sites/default/files/sites/webpublishing/SiteAssets/ESRS%20%20Delegated-act-2023-5303-annex-1\\_en.pdf](https://www.efrag.org/sites/default/files/sites/webpublishing/SiteAssets/ESRS%20%20Delegated-act-2023-5303-annex-1_en.pdf)



## გაკალითი

გარემო, რომელშიც სუბიექტი საქმიანობს და რომელიც მომხმარებელთა განწყობების მიმართ მგრძობიარეა, შეიძლება, რაიმე გაუთვალისწინებელი ინციდენტის ან მედიის დაინტერესების შედეგად, სწრაფად შეიცვალოს. აუცილებელი არაა ზემოაღნიშნული ინციდენტი ან გამოხმაურება მედიიდან პირდაპირ იყოს დაკავშირებული სუბიექტთან, ან მიმდინარე წლის შედეგებზე ჰქონდეს გავლენა, რათა წარმოშვას ახალი რისკები ან შესაძლებლობები, რომლებსაც არსებითი გავლენა ექნება სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე.

ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ძირითად რისკებში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების (რისკის მოცულობა, დადგომის ალბათობა, დრო და შესაძლო ეფექტი ან ახალი რისკები) ახსნას, რომლებიც გასულ საანგარიშგებო პერიოდთან იქნება შედარებული. რისკების აღწერამ უნდა მოიცვას შესაძლო უარყოფითი შედეგები და სამომავლო მოვლენების შესაძლებლობები, რომლებიც ამ რისკებს ახლავს თან. რისკების შეფასებამ გადახდისუუნარობისა და ლიკვიდაციის პროცესის საფრთხეების შეფასებაც უნდა მოიცვას.

სუბიექტის საქმიანობის განვითარების, მდგომარეობის ან სამომავლო გეგმების სრულად გაგებისათვის, ძირითადი რისკები უნდა გასაჯაროვდეს და აღიწეროს მიუხედავად მათი კლასიფიკაციისა და ასევე, მიუხედავად იმისა, გამომდინარეობენ თუ არა ისინი სუბიექტის სტრატეგიული, საოპერაციო, საორგანიზაციო გადწყვეტილებებიდან ან გარე ფაქტორებიდან, რომლებზეც ხელმძღვანელ პირებს შეიძლება ჰქონდეთ მცირე ან ნულოვანი პირდაპირი კონტროლი.

ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა. მდგრადობის ანგარიშგება

1. მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა, [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].  
(ზ). სუბიექტის მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერა, მათ შორის ამ საკითხებზე სუბიექტის ძირითადი დამოკიდებულებების აღწერა და როგორ მართავს ის ამ რისკებს;

შენიშვნა: სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში, კერძოდ ESRS 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:

- IRO-1 (ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები) – არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის და შეფასების პროცესის აღწერა;
- SBM-3 (მდგრადი ბიზნესმოდელი) – არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთკავშირი სტრატეგიასა და ბიზნესმოდელ(ებ)თან;

მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტი 2 (ESRS 2) – „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“ იძლევა მითითებებს ისეთი არსებითი ინფორმაციის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს მდგრადობის ანგარიშგებაში. (იხ. დანართი „ვ“)<sup>11</sup>.

<sup>11</sup> <https://www.efrag.org/sites/default/files/sites/webpublishing/SiteAssets/ESRS%20LSME%20ED.pdf>

## სამართლებრივი მოთხოვნები

კორპორაციული მართვის  
ანგარიშგება მოიცავს სუბიექტის:

- ა) კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვას;
- ბ) გადახვევებს კორპორაციული მართვის კოდექსიდან;
- გ) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას;
- დ) აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვას;
- ე) მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს (მათ შორის, დამოუკიდებელი დირექტორების) შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვას;
- ვ) მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ

## კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა

კორპორაციული მართვის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს სუბიექტისათვის სავალდებულო ან სუბიექტის მიერ საკუთარი სურვილით შერჩეული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორპორაციული მართვის კოდექსის მიმოხილვას; გარდა ამისა, კორპორაციული მართვის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს კორპორაციული მართვის პრაქტიკის მიმოხილვასაც, რომელიც კანონით დადგენილ მოთხოვნებს აღემატება. საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსის გამოყენების შემთხვევაში, სუბიექტი ვალდებულია, მიუთითოს, თუ სად არის ეს კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომი. კორპორაციული მართვის პრაქტიკის მითითების შემთხვევაში სუბიექტი საჯაროს ხდის დეტალურ ინფორმაციას ამ პრაქტიკის შესახებ.

სუბიექტებს შეუძლიათ, შეარჩიონ მიღებული კორპორაციული მართვის პრაქტიკის გასაჯაროების რომელიმე მეთოდი და აჩვენონ მისი შესაბამისობა კორპორაციული მართვის კოდექსთან. აღნიშნული მეთოდები შეიძლება იყოს:

ა) სრულად თხრობითი გამოყენებული პრაქტიკისა და კოდექსთან შესაბამისობის დეტალური აღწერა. ასეთი ტიპის გასაჯაროება, როგორც წესი, უფრო მოცულობითია სხვა მეთოდებით გასაჯაროებულ ინფორმაციასთან შედარებით.

ბ) შესაბამისობის დადგენის ზოგადი ანგარიში ასეთი მეთოდით წარმოებული ანგარიში შედარებით მოკლეა და გამონაკლისების სია მოყვება (არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად, მისი უპირატესობა გამონაკლისების (განმარტებებთან ერთად) მკაფიოდ ჩვენებაა. თუმცა, ეს მეთოდი სუბიექტის მიერ გამოყენებული პრაქტიკების სრულ სურათს არ იძლევა. ამასთან, კოდექსით გათვალისწინებული პრაქტიკები, რომელსაც სუბიექტი იყენებს, შეიძლება გამოტოვებული იყოს ან გასაჯაროვდეს მთელ რიგ სხვა დოკუმენტებთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს რისკი იმისა, რომ ზოგიერთი გამონაკლისი არ გასაჯაროვდება ან შეუმჩნეველი დარჩება.

გ) ზედა ორი მეთოდის კომბინაცია ასეთი მეთოდით წარმოებული ანგარიში აერთიანებს შემოკლებულ სრულად თხრობით და შესაბამისობის დადგენის ანგარიშს. ამ ანგარიშში ცხრილურ ფორმატში უნდა იქნას აღწერილი კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილები. ეს მეთოდი უზრუნველყოფს არსებული პრაქტიკის ზუსტ აღწერას და ნათლად აჩვენებს, არის თუ არა დაცული კოდექსის ყოველ კონკრეტულ მუხლთან შესაბამისობა ან განმარტავს შეუსაბამობების მიზეზებს<sup>12</sup>.



## გაკალითი

### სრულად თხრობითი მეთოდით მომზადებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება:

შეიძლება მოიცავდეს საბჭოს კომიტეტების შემადგენლობას, ჩატარებული შეხვედრების რაოდენობას, საბჭოს შემადგენლობას მოკლე ბიოგრაფიული დეტალებით, ნებისმიერი არააღმასრულებელი და დამოუკიდებელი ხელმძღვანელი პირის მოკლე ბიოგრაფიას, დეტალურ ინფორმაციას ანაზღაურების შესახებ, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს ან ურთიერთდაკავშირებულ პირებს შორის დადებულ გარიგებებს და ა.შ.

### შესაბამისობის დადგენის მეთოდით მომზადებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება:

ინფორმაციის გასაჯაროების ამ გზით კორპორაციული მართვის ანგარიშგება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით: -სუბიექტის სამეთვალყურეო საბჭო აცხადებს, რომ საანგარიშგებო პერიოდში სუბიექტის საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა კორპორაციული მართვის კოდექსის ყველა პუნქტს (რომელიც გასაჯაროებულია ვებ-გვერდზე XXX), გარდა იმ პუნქტისა, რომელიც ნომინაციების კომიტეტის საკითხს ადგენს. სუბიექტმა არ შექმნა ნომინაციების კომიტეტი სუბიექტის ზომის გათვალისწინებით და იმ მიზეზით, რომ საბჭომ საჭიროდ არ მიიჩნია ცალკე კომიტეტის ჩამოყალიბება და, შესაბამისად, კომიტეტის ფუნქციებს თვითონ ახორციელებს უფლებამოსილების ყოველგვარი დელეგირების გარეშე“.

თუ კორპორაციული მართვის კოდექსი საერთოდ არ არის მიღებული, სუბიექტმა მაინც უნდა შეუწყოს ხელი კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას და გაასაჯაროს ინფორმაცია ნებაყოფლობით დანერგილი პრაქტიკის შესახებ.

## კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა<sup>13</sup>

კორპორაციული მართვის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს სავალდებულო ან საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსიდან გადახვევების, ან ზედა პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აღნიშნულ კოდექსზე მიუთითებლობის ფაქტებს და შესაბამისი მიზეზების ანალიზს.

თუ სუბიექტმა გადაწყვიტა, არ დაეყრდნოს საკუთარი სურვილით შერჩეულ ან სავალდებულო კორპორაციულ მართვის კოდექსს, მან უნდა განმარტოს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი.

<sup>12</sup> 2012 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის <https://nbg.gov.ge/en/media/news/georgia-approves-corporate-governance-code-for-issuers-of-public-securities>.

<sup>13</sup> იხ. თავი კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვის შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტის საქმიანობა არ შეესაბამება კოდექსის ცალკეულ პუნქტს, მნიშვნელოვანია, არსებობდეს ასეთი შეუსაბამობის სათანადო ახსნა. საქიროების შემთხვევაში, სუბიექტმა, რომლის საქმიანობაც არ შეესაბამება კოდექსის რომელიმე პუნქტს, რეკომენდებულია, დასახოს კონკრეტული გეგმა, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს მომავალში კოდექსთან შესაბამისობის მისაღწევად. იქიდან გამომდინარე, რომ სუბიექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, შესაძლოა, კოდექსთან სრულად ან ნაწილობრივ შეუსაბამობის მრავალი მიზეზი არსებობდეს, ამიტომ შესაბამისობის თითოეული ანგარიში ყოველი სუბიექტისთვის განსხვავებული იქნება. შესაბამისად, კორპორაციული მართვის ანგარიშგების ამ ნაწილის სტანდარტული ფორმულირება არ არსებობს.



## მაგალითი

კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა შეიძლება მოიცავდეს სამეთვალყურეო საბჭოს შუამდგომლობით ანაზღაურების კომიტეტის შექმნას, გარკვეული რაოდენობით საბჭოს დამოუკიდებელი წევრების არსებობას, ურთიერთდაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული გარიგებების გამჟღავნებას და ა.შ.

## ფინანსური ანგარიშგების შედეგის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

სუბიექტმა ანგარიშგების ამ ნაწილში უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების შედეგის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა. შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

- ა) ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- ბ) სუბიექტის აქტივებისა და მონაცემების დაცვა;
- გ) ფინანსური და სხვა ანგარიშგების სანდოობა;
- დ) თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა;
- ე) რისკების მხედველობაში მიღება და მათი მართვა;
- ვ) სუბიექტის მიერ შემოღებული პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების შესაბამისობა კოდექსთან;
- ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- თ) უსაფრთხო/მავნე პირობებში ბიზნესის მდგრადობის მხარდაჭერა.

შიდა კონტროლი ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად გამოიყენება. შიდა კონტროლი სუბიექტის ყოველდღიურ საქმიანობაში სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელი პირებისა და პერსონალის მიერ უნდა წარიმართოს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაადგინოს სათანადო პოლიტიკა, რათა კონტროლის მიზნების მიღწევა უზრუნველყოს.



სუბიექტმა უნდა გაასაჯაროოს სისტემებისა და პროცესების აღწერა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანიც იქნება შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების შემოღება, შენარჩუნება და მონიტორინგი. აღნიშნული პროცესი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც მითითება საქმიანობის მიმოხილვაზე, გამეორების თავიდან აცილების მიზნით, თუ მმართველობის ანგარიშგების ამ ნაწილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სისტემებისა და პროცესების შესახებ. ამავე დროს, წარმოდგენილი ინფორმაცია, ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, შესაძლებელია, მოიცავდეს ინფორმაციას უკვე არსებული შიდა კონტროლისა და პროცედურების შესახებ შემდეგ სფეროებში:

- ა) რისკის ამოცნობა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების საიმედოობასთან დაკავშირებით;
- ბ) ფინანსური დაგეგმვა და მონიტორინგი;
- გ) სუბიექტის თანამდებობის პირების როლი და მათი პასუხისმგებლობა;
- დ) საანგარიშგებო პერიოდის დახურვა კონსოლიდაციის პროცესის ჩათვლით (მაგალითად, დოკუმენტირებული პროცედურები, სახელმძღვანელოები, წვდომის უფლებები, დასტურები, ინფორმაციის შემოწმება/შეჯერება და სხვ.);
- ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი კონტროლები (ITGCs), რომლებიც სუბიექტის სისტემებისა და პროგრამების მეშვეობით მიღებული ფინანსური ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეს უზრუნველყოფენ.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებული სისტემებისა და პროცესების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლისა და რისკის მართვის იმ სისტემების შესახებ, რომლებიც მდგრადობის ანგარიშგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება.

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS).**  
ESRS 2. გამჟღავნების მოთხოვნა GOV-5 - მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვა და შიდა კონტროლის საშუალებები

34. სუბიექტმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მდგრადობის ანგარიშგების პროცეს(ებ)თან დაკავშირებული რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

35. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით სუბიექტის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პროცეს(ებ)ის შესახებ.

36. სუბიექტმა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით სუბიექტში არსებული რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცესებისა და სისტემების მასშტაბი, ძირითადი მახასიათებლები და კომპონენტები;
- ბ) რისკის შეფასების გამოყენებული მიდგომა, მათ შორის რისკების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- გ) იდენტიფიცირებული ძირითადი, არსებული და პოტენციური, რისკები და მათი შერბილების სტრატეგიები, მათ შორის კონტროლის შესაბამისი საშუალებები;
- დ) აღწერა იმისა, თუ როგორ ახდენს სუბიექტი მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული საკუთარი რისკის შეფასებისა და შიდა კონტროლის შედეგების ინტეგრირებას შესაბამის შიდა ფუნქციებსა და პროცესებში; და
- ე) ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხებდველო ორგანოებისთვის მიგნებების შესახებ პერიოდული ანგარიშების წარდგენის აღწერა.

## აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

სუბიექტმა უნდა გაასაჯაროოს აქციონერების შეხვედრის შედეგები და მათი ძირითადი უფლებამოსილებები, რაც მოიცავს აქციონერების უფლებების აღწერას და განხორციელების გზებს, აქციონერთა ძირითად შეთანხმებებს და სხვა პირდაპირ თუ ირიბ ურთიერთობებს მთავარ აქციონერებსა და სუბიექტს შორის. თუ სუბიექტს აქვს საკომუნიკაციო პოლიტიკა, რომელიც აქციონერებთან ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობას ემსახურება, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით, და ხელს უწყობს საერთო კრებაზე აქციონერთა ჩართულობას, ინფორმაცია ასეთი პოლიტიკის შესახებ უნდა გაჯაროვდეს.

## მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა

სუბიექტმა უნდა გაასაჯაროოს ადმინისტრაციული, ხელმძღვანელი პირების (მათ შორის დამოუკიდებელი დირექტორების), სამეთვალყურეო ორგანოებისა და მათი კომიტეტების შემადგენლობა და საქმიანობა. ამასთან, საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვლება შემდეგი საკითხების გასაჯაროება: დამოუკიდებელ დირექტორთა დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამართული საბჭოსა და კომიტეტის შეხვედრების რაოდენობა, იმ შეხვედრების რაოდენობა, რომელსაც თითოეული წევრი დაესწრო, დირექტორთა/საბჭოს წევრების მოკლე ბიოგრაფიები (BV), მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადა და რელევანტური პროცედურები საბჭოს საქმიანობის შესაფასებლად.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (ჩმდ) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (Eშმ) დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია ორგანიზაციის შიგნით მმართველობითი და საზედამხედველო ორგანოების როლის შესახებ მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. მათ ასევე უნდა გაასაჯაროონ ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა დაკავშირებული მმართველობითი და საზედამხედველო ორგანოების წევრების ანაზღაურება მდგრად განვითარებასთან.

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა.**  
მდგრადობის ანგარიშგება

1. . მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა, [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].

- (გ). ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლის აღწერა მდგრადობის საკითხებთან მიმართებით, და ასევე ინფორმაცია მათი ცოდნის, გამოცდილების და უნარების შესახებ აღნიშნული როლის შესრულებასთან დაკავშირებით ან ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია მათი წვდომა ასეთ ცოდნასთან, გამოცდილებასთან და უნარებთან;
- (ე) ინფორმაცია მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული იმ წამახალისებელი სქემების არსებობის შესახებ, რომელთა შეთავაზებაც ხდება ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების წევრებისთვის;

შენიშვნა: სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტებში, კერძოდ ESRS 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:

- GOV-1 – ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი
- GOV-2 – საწარმოს ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მდგრადობის საკითხები, რომელზეც მათ რეაგირება მოახდინეს
- GOV-3 – მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში

## მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა

სუბიექტის კორპორაციული მართვის ანგარიშგება, იმ სუბიექტების გარდა, რომლებიც მეორე და მესამე კატეგორიის სუბიექტების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, უნდა მოიცავდეს მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) მიმოხილვას, ინფორმაციას ამ პოლიტიკის მიზნების, გამოყენებული მეთოდებისა და შესაბამის პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ. აღნიშნული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს შესაბამისი მიზეზ(ებ)ი.



### მაგალითი

დივერსიფიკაციის პოლიტიკაში უნდა იქნას გაწერილი ის პირობები, რომელთა შესრულებაც სუბიექტს მისთვის შესაფერისი დივერსიფიკაციის უზრუნველყოფაში დაეხმარება. ეს შეიძლება მოიცავდეს საბჭოს წევრებში/ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებში ქალთა მინიმალურ პროცენტულ ოდენობას, მამაკაცებსა და ქალებს შორის ანაზღაურების კუთხით თანასწორობის მისაღწევად საჭირო სქემას და ა.შ.

## სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა

იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტის აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს წარმოადგენს, კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში შემდეგი ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს:

- ა) პირდაპირი ან ირიბი (ერთი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის წევრების თანხმობა) მნიშვნელოვანი მონაწილეობა კაპიტალში;
- ბ) ინფორმაცია იმ აქციონერების შესახებ, რომლებიც ფლობენ სპეციალური კონტროლის უფლების მიმნიჭებელ აქციებს და ამ უფლების აღწერა;
- გ) ინფორმაცია ხმის მიცემის უფლების ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ, როგორცაა ხმის უფლების შეზღუდვა აქციონერთათვის, რომლებიც ფლობენ გარკვეულ წილს ან ხმების გარკვეულ პროცენტს;
- დ) მმართველობის ორგანოების წევრების დანიშვნისა და ჩანაცვლების წესები, ასევე ინფორმაცია წესდებაში შესწორებების ტანის შესახებ;

## საქმიანობის მიმოხილვა

### სამართლებრივი მოთხოვნები

#### არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) არაფინანსურ საკითხებს;
- ბ) სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვას;
- გ) სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზს;
- დ) საქმიანობის ძირითად არაფინანსურ მაჩვენებლებს;
- ე) გამოყენებული პოლიტიკების აღწერას.

## არაფინანსური საკითხები

სუბიექტების მიერ წარმოდგენილი არაფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვის, სოციალურ, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას. აღნიშნული ასევე გულისხმობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სისტემები აქვთ კომპანიებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ზემოქმედების შესაფასებლად და სამართავად<sup>14</sup>.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივისა (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სამართავად დანერგილი პროცესების შესახებ. ეს გულისხმობს მდგრადობის საკითხების და ოპერაციებთან და ღირებულებების ჯაჭვთან მიმართებით არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების კომპლექსურ შემოწმებას, აღნიშნული ზემოქმედებების იდენტიფიკაციის, მონიტორინგისა და შერბილების მიზნით განხორციელებულ ქმედებებს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესის ინტეგრირებას სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში, უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესს და არხებს პრობლემური საკითხების წამოსაჭრელად.

<sup>14</sup> საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქმიანობის სტანდარტები გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის შესახებ მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასებას და მართვას (საქმიანობის სტანდარტი #1) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ან ESMS) მეშვეობით, რომელიც აერთიანებს შემდეგ ეტაპებს: (i) პოლიტიკა, (ii) რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიკაცია, (iii) მართვის პროგრამები, (iv) ორგანიზაციული შესაძლებლობები და კომპეტენცია, (v) საგანგებო გარემოებების მიმართ მზადყოფნა და რეაგირება, (vi) დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, (vii) გარე კომუნიკაციები და გასაჩივრების მექანიზმები, (viii) მიმდინარე ანგარიშგება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის (საზოგადოებრივი ჯგუფის) მიმართ და (ix) მონიტორინგი და მიმოხილვა. დამატებითი ინფორმაცია ESMS-ის და მისი განხორციელების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.ifc.org/en/insights-reports/2015/publications-handbook-esms-general>

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა. მდგრადობის ანგარიშგება**

საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებით არსებითი შესაძლებლობების ძიება და ამ ქმედებების ეფექტურობა.

1. . მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].

(ვ) ქვემოთ ჩამოთვლილის აღწერა:

- (i) სუბიექტის მიერ მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით კომპლექსური შემოწმების განხორციელების პროცესი, რომელიც, როდესაც ეს შესაფერისია, შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან სუბიექტების კომპლექსური შემოწმების შესახებ;
- (ii) სუბიექტის საკუთარ ოპერაციებთან და ღირებულების ჯაჭვთან, მათ შორის, სუბიექტის პროდუქციასა და მომსახურებასთან, საქმიან ურთიერთობებთან და მიწოდების ჯაჭვთან, დაკავშირებული ძირითადი არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება, ამ ზემოქმედების იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ქმედებები და სხვა უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც სუბიექტმა უნდა გამოავლინოს სუბიექტების კომპლექსური შემოწმების შესახებ ევროკავშირის სხვა მოთხოვნების შესაბამისად;
- (iii) სუბიექტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის, შერბილების, რემედიაციის ან დასრულების მიზნით და ასეთი ქმედებების შედეგი;

სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია **მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტებში:**

**ESRS 2 – ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები**

შენიშვნა: სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია ESRS 2 სტანდარტში - ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები:

- SBM-2 დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები
- GOV-4 მდგრადობასთან დაკავშირებული კომპლექსური შემოწმების ანგარიში
- 4.1 არსებითობის შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება
- 4.3 ინფორმაციის გამჟღავნება პოლიტიკისა და ქმედებების შესახებ
  - ინფორმაციის გამჟღავნება - DC-P პოლიტიკა – მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკა
  - ინფორმაციის გამჟღავნება - DC-A ქმედებები – მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

**ESRS S3 – ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები**

- S3-1 – ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკა
- S3-2 – ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობის პროცესები (ზემოქმედებასთან დაკავშირებით)
- S3-3 – უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან პრობლემური საკითხების წამოსაჭრელად

S3-4 – ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებითი ზემოქმედების მიმართულებით ქმედებების განხორციელება, არსებითი რისკების შერბილების მიდგომები და ზემოქმედების ქვეშ მყოფ

# გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

მიზანშეწონილია, სუბიექტმა გაასაჯაროსოს რელევანტური ინფორმაცია გარემოზე მიმდინარე ან შესაძლო გავლენაზე, რომელიც მისი საქმიანობიდანაა გამომწვეული. აგრეთვე, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლია არსებულ და მოსალოდნელ გარემოსდაცვით საკითხებს სუბიექტის განვითარებაზე, საქმიანობასა და მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს:

- ა) არსებით ინფორმაციას გარემოს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის შესახებ;
- ბ) ენერჯის მოხმარებით გამომწვეულ ზემოქმედებას გარემოზე;
- გ) პირდაპირ და არაპირდაპირ ემისიებს ატმოსფეროში;
- დ) ბუნებრივი რესურსების (მაგ., წყალი, მიწა) გამოყენებასა და დაცვას, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვას;
- ე) ნარჩენების მართვას;
- ვ) პროდუქციისა და მომსახურების გამოყენებასთან, გაყიდვასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ გარემოს დაცვით საკითხებს;
- ზ) ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტებისა და მომსახურების განვითარებას.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივისა (CSRD) და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის შესახებ, მათ შორის სათბური გაზების პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიების<sup>15</sup>, ასევე რესურსების გამოყენებისა და ცირკულარული ეკონომიკის შესახებ<sup>16</sup>.



## გაგალითი

სუბიექტმა შესაძლოა მხედველობაში მიიღოს ისეთი არაფინანსური გარემოსდაცვითი საკითხები, როგორებიცაა: ენერგოეფექტურობა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება; ენერგომოხმარება არაგანახლებადი წყაროებიდან და ენერგომოცულობა; CO<sub>2</sub> -ის ეკვივალენტური სათბური გაზის ემისია და მოცულობა (მეტრული ტონა); სხვა დამაბინძურებლების ემისიები (აბსოლუტური მნიშვნელობის გაზომვით და მოცულობის მიხედვით); ბუნებრივი რესურსების მოპოვება; ზემოქმედება და დამოკიდებულება ბუნებრივ რესურსებსა და ბიომრავალ-ფეროვნებაზე; ნარჩენების მართვა (მაგ., გადამუშავების ნორმები).

სათბური გაზის ემისია და მოცულობა (მეტრული ტონა); სხვა დამაბინძურებლების ემისიები (აბსოლუტური მნიშვნელობის გაზომვით და მოცულობის მიხედვით); ბუნებრივი რესურსების მოპოვება; ზემოქმედება და დამოკიდებულება ბუნებრივ რესურსებსა და ბიომრავალ-ფეროვნებაზე; ნარჩენების მართვა (მაგ., გადამუშავების ნორმები).

<sup>15</sup> ESRS E1 სტანდარტი კლიმატის ცვლილების შესახებ მოითხოვს, რომ სუბიექტმა გაამჟღავნოს მისი: (ა) 1-ელი კატეგორიის სათბურის გაზების ემისიების მთლიანი მოცულობა; (ბ) მე-2 კატეგორიის სათბური გაზების ემისიების მთლიანი მოცულობა; (გ) მე-3 კატეგორიის სათბური გაზების ემისიის მთლიანი მოცულობა; და (დ) სათბური გაზების ემისიის მოცულობა ჯამურად. 1-ელი კატეგორიის (Scope 1) ემისია არის პირდაპირი ემისია სუბიექტის საკუთრებაში არსებული და კონტროლირებადი რესურსებიდან. მე-2 კატეგორიის ემისია განპირობებულია შეძენილი ენერჯის გამომუშავებიდან. მე-3 კატეგორიის ემისია არის ყველა არაპირდაპირი ემისია - რომელიც არ მიეკუთვნება მე-2 კატეგორიის ემისიებს - რომლის გაშვებაც ხდება კომპანიის აღმავალ და დაღმავალ ღირებულების ჯაჭვში.

<sup>16</sup> ცირკულარული (წრიული) ეკონომიკა განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური სისტემა სადაც, პროდუქტების, მასალების და სხვა რესურსების ღირებულება შენარჩუნებულია შეძლებისდაგვარად დიდი ხნის განმავლობაში, რაც აძლიერებს მათ ეფექტიან გამოყენებას წარმოებასა და მოხმარებაში, და ამცირებს გარემოზე მათ ზემოქმედებას, ამცირებს ნარჩენებს და საფრთხის შემცველი ნივთიერებების გამოყოფას მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, მათ შორის ნარჩენების იერარქიის გამოყენების გზით.

**ევროკავშირის მოთხოვნები და  
სტანდარტები მდგრადობის  
ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS) სუბიექტებისთვის იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს შემდეგი გარემოსდაცვითი ფაქტორების შესახებ, **ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) 29-ე მუხლის შესაბამისად:**

- ESRS E1. კლიმატის ცვლილება
- ESRS E2. დაბინძურება
- ESRS E3. წყალი და საზღვაო რესურსები
- ESRS E4. ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები
- ESRS E5. რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა

## სოციალური და დასაქმების საკითხები

- ა) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ძირითადი კონვენციების დანერგვა;
- ბ) თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა გენდერული მრავალფეროვნება და თანაბარი მოპყრობა დასაქმებისა და პროფესიულ სფეროში (მათ შორის ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, შრომისუნარობის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა შესაბამის საკითხებთან მიმართებით);
- გ) დასაქმების საკითხები, მათ შორის, დასაქმებისა და სამუშაო პირობები;
- დ) პროფკავშირებთან ურთიერთობები, მათ შორის პროფკავშირების უფლებების პატივისცემა;
- ე) ადამიანური კაპიტალის მართვა, მათ შორის რესტრუქტურისა, კარიერული მენეჯმენტისა და შრომისუნარიანობის მართვა, სამუშაო ანაზღაურების სისტემა, კვალიფიკაციის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები;
- ვ) ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე;
- ზ) ურთიერთობა მომხმარებლებთან (კლიენტებთან), მათ შორის, მომხმარებლის დაკმაყოფილება, ხელმისაწვდომობა, მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე შესაძლო ზემოქმედების მქონე პროდუქტები;
- თ) გავლენა სოციალურად დაუცველ მომხმარებლებზე;
- ი) სანდო მარკეტინგი (მარკეტინგი, რომელიც ითვალისწინებს საუკეთესო ინტერესებს მიმდინარე და გრძელვადიან პერსპექტივაში) და კვლევა;
- კ) საზოგადოებრივი ურთიერთობები, მათ შორის, ადგილობრივი ჯგუფების სოციო-ეკონომიკური განვითარება.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ არსებითი ინფორმაცია ღირებულების ჯაჭვში მომუშავე პირების შესახებ.



## გაგალითი

სუბიექტმა სოციალურ და დასაქმების საკითხებზე შესაძლოა ისეთი ინფორმაცია გაასაჯაროს, როგორცაა: გენდერული მრავალფეროვნება და მრავალფეროვნების სხვა საკითხები; გენდერის მიხედვით დეკრეტული შვებულების უფლების მქონე დასაქმებულები; თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ უბედური შემთხვევებისა და დაავადებების მაღალი რისკის ქვეშ მიმდინარე აქტივობებში; წარმოების დროს მომხდარი უბედური შემთხვევების რაოდენობა, დაზიანების ტიპები ან პროფესიული დაავადებების რაოდენობა; კადრების დინება; გენდერის მიხედვით დროებითი ხელშეკრულებების საფუძველზე მომუშავე თანამშრომლების მაჩვენებელი; გენდერის მიხედვით თითოეული თანამშრომლისთვის ყოველ წელიწადში კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების საათების საშუალო რაოდენობა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დასაქმებულ პირთა რაოდენობა.

**ევროკავშირის მოთხოვნები და  
სტანდარტები მდგრადობის  
ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

- ანგარიშგებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები სოციალური და დასაქმების საკითხების შესახებ ხელმისაწვდომია **მდგრადობის ანგარიშგების შემდეგ ევროპულ სტანდარტებში (ESRS):**
  - ESRS S1. საკუთარი სამუშაო ძალა
  - ESRS S2. ღირებულების ჭაჭვში მომუშავე პირები
- ESRS S1 და S2 სტანდარტები გამოცემულ იქნა **კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) 29b მუხლის შესაბამისად**, რომელიც ითვალისწინებს რომ მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებში [...] მითითებულ უნდა იქნეს ინფორმაცია, რომელიც სუბიექტებმა შემდეგი სოციალური ფაქტორებისა და ადამიანის უფლებების შესახებ უნდა გაამჟღავნონ:
  - I. თანაბარი მოპყრობა და შესაძლებლობები ყველასთვის, მათ შორის გენდერული თანასწორობა და ერთნაირი ანაზღაურება თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის, ტრენინგი და უნარების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების და ჩართულობის უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ ზომების მიღება, და მრავალფეროვნება;
  - II. სამუშაო პირობები, მათ შორის უსაფრთხო დასაქმება, სამუშაო დრო, ადეკვატური ხელფასი, სოციალური დიალოგი, გაერთიანების თავისუფლება, სამუშაო საბჭოების არსებობა, კოლექტიური შეთანხმება, კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომუშავეების წილის ჩათვლით, მომუშავეთა ინფორმაციის, კონსულტაციისა და მონაწილეობის უფლებები, სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ბალანსი, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

## **ადამიანის უფლებების დაცვა**

მიზანშეწონილია, წლიური ანგარიშგების ამ ნაწილში გასაჭაროვდეს არსებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებების კუთხით სუბიექტის საქმიანობიდან გამომწვეული არსობრივი და შესაძლო გავლენის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკად ითვლება, როცა სუბიექტი გამოხატავს მზაობას აილოს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება. აღნიშნული შესაძლოა გულისხმობდეს სუბიექტის მოლოდინებს თავისი ხელმძღვანელი პირებისგან, თანამშრომლებისა და ბიზნეს პარტნიორებისაგან ადამიანის უფლებების, მათ შორის, შრომის ძირითადი სტანდარტების დაცვის კუთხით. გასაჭაროებული ინფორმაცია შეიძლება ხსნიდეს იმას, თუ ვინ არის ამ უფლებების ადრესატი: მაგალითად, ბავშვები, ქალები, ადგილობრივი მოსახლეობა ან ჯგუფები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, წვრილი მესაკუთრე ფერმერები და ა.შ. ასევე, დასაქმებულები, მათ შორის ისინი, ვინც დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ, მიწოდების ჭაჭვში მომუშავე პირები, ქვეკონტრაქტორები, დასაქმებული მიგრანტები და მათი ოჯახები.

სუბიექტმა უნდა გაასაჭაროოს არსებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, იმ პროცესებისა და შეთანხმებების თაობაზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან ასაცილებლად ხორციელდება. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად იმას, თუ რამდენად თანხვედრაშია სუბიექტის მიერ მიწოდების ჭაჭვში სხვადასხვა საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან, აგრეთვე, როგორ ახორციელებს სუბიექტი ადამიანის უფლებებზე შესაძლო უარყოფითი ეფექტების მითიგაციას და რომელ ადეკვატურ ზომებს მიმართავს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.





## მაგალითი

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ანტიკორუფციული პოლიტიკა, პროცედურები და სტანდარტები; კორუფციის რისკის შეფასებაში გამოყენებული კრიტერიუმები; შიდა კონტროლის პროცესი და რესურსები კორუფციისა და მექრთამეობის აღსაკვეთად; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სათანადო მომზადების მექრთამეობის დასაქმებულები; მხილების მექანიზმის გამოყენება; ანტიკონკურენციულ ქცევასთან დაკავშირებული მიმდინარე ან დასრულებული სამართლებრივი მოქმედებების რაოდენობა.

ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ანგარიშგებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ხელმისაწვდომია **მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტებში (ESRS), კერძოდ ESRS S3-ში - „ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები“**:

ESRS S3 სტანდარტი გამოცემულ იქნა **კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) 29-ე მუხლის შესაბამისად**, რომელიც ითვალისწინებს რომ მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებში [...] მითითებულ უნდა იქნეს ინფორმაცია, რომელიც სუბიექტებმა უნდა გაამჟღავნონ შემდეგი სოციალური ფაქტორების და ადამიანის უფლებების შესახებ:

- III. ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებების, დემოკრატიული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვა, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით და გაეროს სხვა ძირითადი კონვენციებით ადამიანის უფლებების შესახებ, მათ შორის გაეროს კონვენციით შეზღუდული შესაძლებლობის მექრთამეობის შესახებ, გაეროს დეკლარაციით მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციით სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ევროპული სოციალური ქარტიით და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით;

## კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისა და ასეთი შემთხვევების თაობაზე. ამ ინფორმაციის გასაჯაროებისას, სუბიექტმა შესაძლოა გაითვალისწინოს ინფორმაცია ორგანიზაციის, მიღებული გადაწყვეტილებების, მართვის საშუალებებისა და კორუფციასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.

ანგარიშების ამ ნაწილში, სუბიექტმა შეიძლება გაასაჯაროოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, რა ზომებს იღებს შესაძლო საზიანო ეფექტების პრევენციისთვის და მიტიგაციისთვის, როგორ აკონტროლებს პროცესის ეფექტურობას და რა ფორმით ხდება შესაბამისი პირების ინფორმირება შიდა და გარე დონეზე.



### გაკალბითი

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისა და ასეთი შემთხვევების თაობაზე. ამ ინფორმაციის გასაჯაროებისას, სუბიექტმა შესაძლოა გაითვალისწინოს ინფორმაცია ორგანიზაციის, მიღებული გადაწყვეტილებების, მართვის საშუალებებისა და კორუფციასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.

ანგარიშების ამ ნაწილში, სუბიექტმა შეიძლება გაასაჯაროოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, რა ზომებს იღებს შესაძლო საზიანო ეფექტების პრევენციისთვის და მიტიგაციისთვის, როგორ აკონტროლებს პროცესის ეფექტურობას და რა ფორმით ხდება შესაბამისი პირების ინფორმირება შიდა და გარე დონეზე.

ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ანგარიშგებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ხელმისაწვდომია **მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში (ESRS), კერძოდ ESRS G1 სტანდარტში - „საქმიანი ქცევა“**.

ESRS G1 სტანდარტი გამოცემულ იქნა **კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) 29 მუხლის შესაბამისად**, რომლის თანახმად მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებში [...] მითითებულ უნდა იქნეს ინფორმაცია, რომელიც სუბიექტებმა უნდა გაამჟღავნონ მმართველობის შემდეგი ფაქტორების შესახებ:

- I. ბიზნესეთიკა და კორპორაციული კულტურა, მათ შორის კორუფციის და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა, მამხილებელი პირების დაცვა და ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- II. სუბიექტის საქმიანობა და ვალდებულებები მის პოლიტიკურ გავლენასთან, მათ შორის ლობისტურ საქმიანობებთან დაკავშირებით;
- III. მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან ურთიერთობის მართვა და ხარისხი, რომლებზეც გავლენას ახდენს სუბიექტის საქმიანობა, გადახდის პრაქტიკის ჩათვლით, განსაკუთრებით დაგვიანებული გადახდები მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებისთვის.

## მიწოდების ჯაჭვი

თუ სუბიექტი რელევანტურად მიიჩნევს, უნდა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტის საქმიანობის განვითარებაზე, მდგომარეობასა და შედეგებზე. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სუბიექტის მიწოდების ჯაჭვის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციას, ასევე, განმარტებას, თუ რამდენად რელევანტურია არაფინანსური საკითხები, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის მართვის პროცესშია ჩართული.

თუ სუბიექტი ჩათვლის, რომ მოსალოდნელი მოვლენების ან მოლაპარაკებების პროცესში მყოფი საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებამ, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მისი ინტერესები, სუბიექტს გასაჯაროების მოთხოვნის შესრულება ნაკლებად საზიანო, შეჯამებული ინფორმაციის წარმოდგენით შეუძლია.



## მაგალითი

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით: შრომითი პრაქტიკა, მათ შორის, ბავშვთა შრომა, იძულებითი და რისკის შემცველი შრომა, ანაზღურება, სახიფათო სამუშაო პირობები (მათ შორის, მშენებლობის უსაფრთხოება, დამცავი აღჭურვილობა, მუშების ჯანმრთელობა); ადამიანებით ვაჭრობა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები; გაზის გამოყოფა და სხვა სახის წყლისა და გარემოს დაბინძურება; ტყეების ჩეხვა და სხვა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკები. ასევე, სუბიექტის გავლენა მომწოდებლებზე, მაგალითად, მისი გადახდის პირობები და გადახდის საშუალო პერიოდები.

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა. მდგრადობის ანგარიშგება**

3. საჭიროების შემთხვევაში, 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სუბიექტის საკუთარი ოპერაციებისა და მისი ღირებულების ჯაჭვის, პროდუქციისა და მომსახურების, საქმიანი ურთიერთობებისა და მიწოდების ჯაჭვის შესახებ.

შენიშვნა: სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში (ESRS), კერძოდ ESRS 1-ში - „ზოგადი მოთხოვნები“: 5. „ღირებულების ჯაჭვი“

- 5.1 ანგარიშვალდებული საწარმო და ღირებულების ჯაჭვი
- 5.2 შეფასება სექტორის საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა მონაცემების გამოყენებით

თუ ეს საკითხი რელევანტურია, უნდა გასაჯაროვდეს მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებიდან კალის, ტანტალის, ვოლფრამისა და ოქროს უსაფრთხო მინოდების საკითხის სუბიექტის მიერ სათანადო შესწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სუბიექტმა შეიძლება გაასაჯაროოს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებული რისკების ბუნებასა და რაოდენობასთან, ასეთი რისკების პრევენციისა და მიტიგაციისთვის მიღებულ ზომებთან

## სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა

ბიზნესმოდელი აღწერს, როგორ ქმნის და ინარჩუნებს სუბიექტი ღირებულებას გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი პროდუქციითა და მომსახურებით. ბიზნესმოდელი საწარმოს საქმიანობის თავისებურებას და სტრუქტურის რელევანტურობას ასახავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას მის მიერ დანახარჯების პროდუქციად გარდაქმნის პროცესის აღწერით.

ბიზნესმოდელის აღწერისას, სუბიექტმა შეიძლება წარმოადგინოს განმარტებები შემდეგი საკითხების შესახებ: ბიზნესგარემო; ორგანიზაცია და სტრუქტურა; ბაზარი, სადაც იგი საქმიანობს; მიზნები და სტრატეგიები; ძირითადი ტენდენციები და ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება სუბიექტის მომავალ განვითარებაზე მოახდინონ გავლენა.

სუბიექტმა შესაძლოა აღწეროს თავისი ბიზნესმოდელი ნათელი, გასაგები ენით და ფაქტებზე დაყრდნობით, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სარეკლამო ხასიათის ან ტენდენციური არაარსებითი ინფორმაციის გასაჯაროებისაგან, რათა დაინტერესებულმა პირებმა ყურადღება არ გადაიტანონ არსებითი ინფორმაციიდან. სუბიექტმა თავისი ბიზნესმოდელი და ძირითადი ტენდენციები შეიძლება ახნას საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გამოყენებით. სუბიექტმა ასევე, შეიძლება აღნიშნოს, თუ როდის მოხდა არსებითი ცვლილებები მის ბიზნესმოდელში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.



### გაგალითი

სუბიექტმა შეიძლება გაასაჯაროოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება:

დამზადებულ პროდუქციას და იმას, თუ რამდენად შეესაბამება მომხმარებლების საჭიროებებს; იმას, თუ როგორ მზადდება ეს პროდუქცია, რა ხდის მის წარმოებას უსაფრთხოსა და კონკურენტუნარიანს; იმ ბაზრის მახასიათებლებს, რომელზეც სუბიექტი საქმიანობს და ამ ბაზრის განვითარების შესაძლებლობებს.

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**ევროკავშირის კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა. მდგრადობის ანგარიშგება**

1. . მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა, [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].

- (ა) სუბიექტის ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის მოკლე აღწერა, მათ შორის:
- I. სუბიექტის ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის მედეგობა მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებით;
  - II. სუბიექტის შესაძლებლობები მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით;
  - III. სუბიექტის გეგმები, მათ შორის, ქმედებებისა და დაკავშირებული ფინანსური და საინვესტიციო გეგმების განხორციელება ბიზნესმოდელის და სტრატეგიის მდგრად ეკონომიკაზე გადასვლასთან და გლობალური დათბობის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვის პირობასთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის ფარგლებში, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 12 დეკემბერს („პარიზის შეთანხმება“); ასევე, 2050 წლისთვის დასახული კლიმატური ტემპერატურის მიღწევის მიზანი ევროპარლამენტის და საბჭოს (\*8) 2021/1119 რეგლამენტის (EU) თანახმად, და, შესაბამის შემთხვევაში, სუბიექტის კავშირი ქვანახშირთან, ნავთობთან და გაზთან დაკავშირებულ საქმიანობებთან;
  - IV. როგორ ითვალისწინებს სუბიექტის ბიზნეს მოდელი და სტრატეგია დაინტერესებული მხარეების ინტერესებს და სუბიექტის ზემოქმედებას მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
  - V. როგორ განხორციელდა სუბიექტის სტრატეგია მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით;

შენიშვნა: **სახელმძღვანელო ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში, კერძოდ (ESRS) 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:**

- SBM-1 – ბაზრის პოზიცია, სტრატეგია, ბიზნეს მოდელი(ებ)ი და ღირებულების ჯაჭვი.

## სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი

არაფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზს, რაც საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს სუბიექტის ბიზნესურთიერთობებს, სამართლებრივი მოთხოვნებით გათვალისწინებულ საკითხებზე პროდუქციის ან/და მომსახურების შესაძლო უარყოფით ზეგავლენას და სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკების მართვის მეთოდებს.

სუბიექტმა უნდა გაასაჯაროოს ინფორმაცია ძირითადი რისკებისა და მათი მართვისა და მიტიგაციის შესახებ. აღნიშნული რისკები შესაძლოა დაკავშირებული იყოს სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან, პროდუქციასთან ან მომსახურებასთან, მიწოდების ჯაჭვთან და საქმიან ურთიერთობებთან ან სხვა საკითხებთან. ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ძირითადი რისკების შესახებ ინფორმაციას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. მიზანშეწონილია, სუბიექტმა განმარტოს, როგორ შეიძლება ძირითადმა რისკებმა გავლენა მოახდინოს მის ბიზნესმოდელზე, ოპერაციებზე, ფინანსურ შედეგებსა და სხვა სახის საქმიანობაზე.

ანგარიშგების ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს არსებით ინფორმაციას ძირითადი რისკების გამოვლენისა და შეფასების კუთხით, მიუხედავად იმისა, ასეთი რისკები წარმოიშობა სუბიექტის გადამწვეტილებების, ქმედებების, თუ გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. სუბიექტის გასაჯაროებული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს არსებითად საჭირო ინფორმაციას მიწოდების ჯაჭვისა და ქვეკონტრაქტორების შესახებ. ანგარიშგება აგრეთვე უნდა მოიცავდეს არსებითად საჭირო ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ახერხებს სუბიექტი ძირითადი რისკების მართვასა და მიტიგაციას.

მიზანშეწონილია, სუბიექტმა ახსნას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ისეთი არსებითი ცვლილება, რომელიც ძირითად რისკებს უკავშირდება, ასევე, ინფორმაცია



## გაგალითი

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს სუბიექტის მიწოდებისა და ქვეკონტრაქტების ჯაჭვში ადამიანის უფლებების, შრომისა და გარემოს დაცვის საკითხებით. სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მართავს აღნიშნული რისკების შესაძლო უარყოფით გავლენებს.

ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა. მდგრადობის ანგარიშგება

1. . მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].

(ვ). შემდგის აღწერა: (ii) სუბიექტის საკუთარ ოპერაციებთან და მის ღირებულების ჯაჭვთან, მათ შორის, პროდუქციასა და მომსახურებასთან, საქმიან ურთიერთობებთან და მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული ძირითადი არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება, ზემოქმედების იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და სხვა უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც სუბიექტმა უნდა გამოავლინოს კომპლექსური შემოწმების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით ევროკავშირის სხვა მოთხოვნების შესაბამისად;

**შენიშვნა: სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტებში, კერძოდ (ESRS) 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:**

- IRO-1 – არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა
- SBM-3 – არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთკავშირი სტრატეგიასა და ბიზნეს მოდელ(ებ)თან

## საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

წლიური ანგარიშგების ამ ნაწილში უნდა გასაჯაროვდეს არაფინანსური საკითხები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც თხრობითი ფორმით, ასევე მაჩვენებლებით (საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები).

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს სუბიექტის შიდა მართვისა და რისკების შეფასების პროცესში ფაქტობრივად გამოყენებულ პარამეტრებს, რაც უზრუნველყოფს გასაჯაროებული ინფორმაციის რელევანტურობასა და სანდოობას. მაღალი ხარისხის და ფართოდ გავრცელებული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების (მაგალითად, სუბიექტის სამოქმედო სექტორში ან სპეციფიკურ არაფინანსურ საკითხებზე ფართოდ გამოყენებადი პარამეტრები) გასაჯაროებამ შეიძლება გაამარტივოს სუბიექტის შედარება სხვა, განსაკუთრებით იმავე სექტორში ან იმავე ღირებულებათა ჯაჭვში არსებულ სანარმოებთან.

სუბიექტმა უნდა გაასაჯაროოს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია მისი საქმიანობის განვითარების, მდგომარეობისა და გავლენების გასაგებად. შედეგების ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს სუბიექტების ფართო სპექტრისთვის მაშინ, როცა შედეგების სხვა ძირითადი მაჩვენებლები კონკრეტული სექტორის მდგომარეობასთან და პირობებთანაა დაკავშირებული. სუბიექტმა ხელი უნდა შეუწყოს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გასაჯაროებას, როგორც ზოგად, ისე დარგობრივ წრეში. სპეციფიკური გარემოებების, ასევე, ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებით, სუბიექტმა სამართლიანი და დაბალანსებული ხედვა უნდა წარმოადგინოს, რაც საყოველთაო, დარგობრივი და სუბიექტისთვის სპეციფიკური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გამოყენებით მიიღწევა.

მიიჩნევა, რომ საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის დასაკავშირებლად ეფექტური საშუალებაა, რაც შესაძლებელს ხდის სუბიექტმა დაბალანსებული და ყოვლისმომცველი ხედვა წარმოადგინოს.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები გამოყენებულ უნდა იქნას თანმიმდევრულად ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, რათა უზრუნველყოს სანდო ინფორმაციის მოწოდება სუბიექტის განვითარებასა და ტენდენციებზე. საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, შესაძლოა, დროთა განმავლობაში, ბიზნეს ან ტექნიკური მიზეზების გამო შეიცვალოს, რა შემთხვევაშიც სუბიექტმა უნდა ახსნას ცვლილების მიზეზი. საჭიროების შემთხვევაში, სუბიექტმა შეიძლება თავიდან განიხილოს წინა პერიოდების ინფორმაცია და ნათლად და ეფექტურად ახსნას ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების გავლენა.

სუბიექტმა შესაძლოა განიხილოს მონაცემთა შეგროვების პროცესი, მეთოდოლოგია და სტრუქტურა და წარმოადგინოს გასაჯაროებული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი. ასევე, განმარტოს, მაგალითად, რის გამო გაიზარდა ან შემცირდა საანგარიშგებო პერიოდში საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, აგრეთვე, როგორ შეიძლება ასეთი მაჩვენებლების განვითარება მომავალში. სუბიექტმა შესაძლოა წარმოადგინოს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები მიზნების, აღრიდნული შედეგების ან სხვა საწარმოებთან შედარების კონტექსტში.

სუბიექტებმა, რომლებიც ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივისა (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) დანერგვას აპირებენ, ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია მდგრადობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით დროში გაწერილი სამიზნე მაჩვენებლების და ინდიკატორების შესახებ, ასევე იმ ინდიკატორების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის ბიზნესმოდელში, სტრატეგიაში, კორპორაციულ მმართველობასა და რისკის მართვაში მდგრადობის საკითხების ინტეგრირებასთან<sup>17</sup>.

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა. მდგრადობის ანგარიშგება**

1. მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა, [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].
    - (ბ) სუბიექტის მიერ მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით დროში გაწერილი სამიზნე მაჩვენებლების აღწერა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სათბურის გაზების ემისიების შემცირების აბსოლუტური სამიზნე მაჩვენებლები 2030 და 2050 წლებისთვის მაინც, იმ პროგრესის აღწერა, რომელსაც სუბიექტმა მიაღწია ამ სამიზნე მაჩვენებლებთან დაკავშირებით და განაცხადი იმის შესახებ, ეფუძნება თუ არა სუბიექტის სამიზნე მაჩვენებლები გარემო ფაქტორებთან დაკავშირებით დამატებულ სამეცნიერო მტკიცებულებებს;
    - (თ) (ა) – (ზ) პუნქტებში მითითებულ გამჟღავნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული ინდიკატორები.
- შენიშვნა: **სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში, კერძოდ, (ESRS) 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:**
- DC-M - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული საზომები
  - DC-T – პოლიტიკისა და ქმედებების ეფექტურობაზე დაკვირვება სამიზნე მაჩვენებლების მეშვეობით
  - IRO-2 – ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომელიც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება

ანგარიშების ეს ნაწილი შეიცავს განხორციელებული პოლიტიკების აღწერას, რომელიც არაფინანსურ საკითხებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, ამ საკითხების სათანადო შესწავლის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების აღწერას.

სუბიექტმა უნდა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია, რომელიც თავისი პოლიტიკის სამართლიან ხედვას ასახავს. მან შეიძლება წარმოადგინოს განმარტებები, რომელიც ეხება ძირითად არაფინანსურ საკითხებთან მიმართებით გამოყენებულ მიდგომებსა და სუბიექტის ძირითად მიზნებს, ასევე იმას, თუ როგორ აპირებს ამ მიზნებისა და გეგმების განხორციელებას. ნებისმიერი განმარტება უნდა მოიცავდეს მონაცემებს სუბიექტის სპეციფიკური გარემოებების შესახებ. ამ განმარტებით შენიშვნებში საწარმომ შეიძლება ახსნას მისი ხელმძღვანელი პირების და საბჭოს პასუხისმგებლობა და მიღებული გადაწყვეტილებები; ასევე, თუ როგორია რესურსების გადანაწილება მიზნებთან მიმართებაში, რისკების მართვა და მოსალოდნელი შედეგები.



## მაგალითი

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის მის ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურაში პასუხისმგებელი პირი კონკრეტული პოლიტიკის, მაგალითად, კლიმატთან დაკავშირებული საკითხების შექმნაზე, დანერგვასა და მონიტორინგზე. სუბიექტმა ასევე უნდა აღწეროს მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობა გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სათანადო შესწავლის პროცესი შეეხება სუბიექტის პოლიტიკებს, რისკების მართვასა და შედეგებს. აღნიშნული პროცესები ხორციელდება სუბიექტის მიერ, რათა დარწმუნდეს, რომ უზრუნველყოფილია კონკრეტული მიზნების მიღწევა (მაგალითად, იმის საჩვენებლად, რომ ნახშირბადის გამონაბოლქვი ნაკლებია კონკრეტულ ღონებზე ან მიწოდების ჯაჭვში ადგილი არ აქვს ადამიანებით ვაჭრობას). სათანადო შესწავლა ხელს უწყობს მიმდინარე და შესაძლო უარყოფითი ეფექტების იდენტიფიცირებას, თავიდან აცილებასა და მითიგაციას.

სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს არსებითი განმარტებები საკითხების სათანადო შესწავლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის, სადაც რელევანტური იქნება, მისი მომწოდებლებისა და ქვეკონტრაქტორების ჯაჭვის სათანადო შესწავლის შესახებ. გარდა ამისა, სუბიექტმა შეიძლება გაასაჯაროოს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, აგრეთვე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობის პროცესი უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილებისა და მითიგაციის კუთხით. სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს არსებითი ინფორმაცია დასახული მიზნებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ.

<sup>17</sup>სხვა სახელმძღვანელო მითითებები საქმიანობის ძირითადი ინდიკატორების (KPI) და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ ხელმისაწვდომია დოკუმენტში - EFRAG's Implementation Guidance 3 - List of ESRS Data Points. See: <https://efrag.sharefile.com/share/view/s6e410fb208aa4685bf9c482ee405f48d/foa75419-44c9-4081-85a5-43217a6e8732>





## მაგალითი

სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს ინფორმაცია თავისი პოლიტიკის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საშიში ქიმიური ნივთიერებების და ბიოციდების გამოყენების თავიდან აცილებას. მან, ასევე, შესაძლოა გაასაჯაროოს ინფორმაცია თავისი პოლიტიკის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხო ალტერნატივების ძიებას, განვითარებასა და გამოყენებას. სუბიექტმა შეიძლება განმარტოს, თუ როგორ აფასებს მის მიერ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების ხარისხს, უსაფრთხოებასა და გარემოზე ზემოქმედებას, აგრეთვე, აკმაყოფილებს თუ არა ქიმიური ნივთიერებებისაგან დაცულობის სამართლებრივ მოთხოვნებს (მაგალითად, ეტიკეტირება, შეფუთვა და ა.შ). სუბიექტმა შესაძლოა გაასაჯაროოს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკაც.

სუბიექტს შეუძლია განმარტოს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძირითადი პოლიტიკებისა და გარკვეული საკითხების სათანადო შესწავლის კუთხით განხორციელებული ნებისმიერი არსებითი ცვლილება. ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში, სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს ნათელი და დასაბუთებული ახსნა აღნიშნულთან დაკავშირებით. ამავდროულად, თუ სუბიექტს არ გააჩნია პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიმართ, საჭიროა არაფინანსურ ანგარიშგებაში ნათელი და დასაბუთებული განმარტების შეტანა.

**ევროკავშირის მოთხოვნები და სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). მუხლი 19ა.**  
მდგრადობის ანგარიშგება

1. . მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის სუბიექტებმა, [...] მმართველობის ანგარიშგებაში უნდა შეიტანონ [...].

- (დ) სუბიექტის პოლიტიკის აღწერა მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით;
- (ვ) აღწერილ უნდა იქნეს: [...] (iii) სუბიექტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის, შერბილების, რემედიაციის ან დასრულების მიზნით და ასეთი ქმედებების შედეგი.

შენიშვნა: **სახელმძღვანელო მითითებები ასევე ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში, კერძოდ, ESRS 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:**

- 4.3 გამჟღავნებული ინფორმაცია პოლიტიკის და ქმედებების შესახებ
  - o გამჟღავნებული ინფორმაცია - DC-P პოლიტიკები – მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები
  - o გამჟღავნებული ინფორმაცია - DC-A ქმედებები - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

# არაფინანსური საკითხების მიმართ გატარებული პოლიტიკის შედეგები

სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგების სასარგებლო, სამართლიანი და დაბალანსებული ხედვა. სუბიექტის მიერ გასაჭაროებული არაფინანსური ინფორმაცია უნდა დაეხმაროს ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, სწორი წარმოდგენა შეიქმნან სუბიექტის საქმიანობაზე.

შესაბამისმა ინფორმაციამ გატარებული პოლიტიკის შედეგების შესახებ შესაძლოა დაინტერესებულ პირებს სუბიექტის ძლიერ მხარეებსა და მის მდგრადობაზე სასარგებლო ინფორმაცია მიაწოდოს. არაფინანსური ანგარიშგება ყოვლისმომცველად და ლაკონურად უნდა ასახავდეს ინფორმაციას ოპერაციებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ.

სუბიექტმა შესაძლოა ახსნას ურთიერთკავშირი ფინანსურ და არაფინანსურ შედეგებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს მითითება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და მათ შესახებ დამატებითი განმარტებები. შედეგების ანალიზი უნდა შეიცავდეს რელევანტური არაფინანსური საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს. სუბიექტებს შეუძლიათ გაასაჭაროონ შედეგების ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, რომლებსაც როგორც მონიტორინგისა და შეფასების, ასევე სხვა საწარმოებისა და სექტორის შორის შედარების საჩვენებლად ყველაზე სასარგებლოდ მიიჩნევენ. საჭიროების შემთხვევებში, სუბიექტები აგრეთვე უზრუნველყოფენ ამ ინფორმაციის წარდგენასა და განმარტებას სამეწარმეო მიზნებსა და კრიტერიუმებთან მიმართებით.

**ეფროკავშირის მოთხოვნები და  
სტანდარტები მდგრადობის  
ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

**სახელმძღვანელო მითითებები ხელმისაწვდომია მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტში, კერძოდ, ESRS 2-ში - „ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“:**

- 4.3 გამჟღავნებული ინფორმაცია პოლიტიკის და ქმედებების შესახებ
  - გამჟღავნებული ინფორმაცია - DC-P პოლიტიკები – მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები
  - გამჟღავნებული ინფორმაცია - DC-A ღონისძიებები – მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები
- 5. საზომი და სამიზნე მაჩვენებლები
  - DC-M - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული საზომები
  - DC-T – პოლიტიკისა და ქმედებების ეფექტურობაზე დაკვირვება სამიზნე მაჩვენებლების მეშვეობით

## ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

**სამართლებრივი  
მოთხოვნები**

სუბიექტის მმართველობის ორგანოს (ხელმძღვანელი) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებლები "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მმართველობის ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (მათ შორის დამოუკიდებელი დირექტორები) ერთობლივად არიან პასუხისმგებლები წლიური ანგარიშის მომზადებასა და სამსახურში წარდგენაზე.

სამსახური ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

სუბიექტი საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მენარმე, თუ ისინი აკმაყოფილებენ მესამე, მეორე და პირველი კატეგორიის საწარმოების შემოსავლის, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების და დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმებს.

წლიური ანგარიშგება ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სუბიექტის როგორც ფინანსურ, ისე მმართველობის ანგარიშგებას.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs) სუბიექტის ხელმძღვანელი პირების მიერ გამოყენებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლითაც ფასდება ძირითადი რისკები, ასევე სუბიექტის განვითარება დასახულ მიზნებთან მიმართებით ან ხდება სუბიექტის განვითარების, საქმიანობის ან მდგომარეობის მონიტორინგი.

ძირითადი რისკები რისკი ან რისკების კომბინაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია სუბიექტის საქმიანობაზე, სამომავლო პერსპექტივებზე ან რეპუტაციაზე. ეს შესაძლოა მოიცავდეს ისეთ რისკებს, რომლებიც ეხება ბიზნეს მოდელს, სამომავლო საქმიანობას, გადახდისუნარიანობას ან ლიკვიდობას.

დაინტერესებული მხარეები უკვე არსებული/მომავალი პარტნიორები/აქციონერები, ინვესტორები, ასევე, მიმწოდებლები, დეპოზიტარები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები.

საპასუხო შესრულება აქციების შეძენის ან გასხვისების სანაცვლოდ გადახდილი ფულადი ან არაფულადი სარგებელი.

ინტელექტუალური კაპიტალი იდეების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება საწარმომ გამოიყენოს სარგებლის მომტანი მიზნებისთვის და რომელიც მნიშვნელოვანია საწარმოს პროდუქციის ან მომსახურების განვითარების კუთხით.

ორგანული ზრდა სუბიექტის ზრდა საკუთარი რესურსებით სხვა საწარმოსთან შერწყმის ან სხვა საწარმოს წილის/აქციების გარეშე.

ნომინაციის კომიტეტი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ხელმძღვანელი პირების კანდიდატთა შერჩევა-შეფასებაზე.

ანაზღაურების კომიტეტი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების და სამოტივაციო სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე.

მიწოდების ჭაჭვი მიწოდების ჭაჭვი არის სუბიექტსა და მომწოდებლებს შორის არსებული ქსელი, რომელიც პროდუქტის/მომსახურების მომხმარებელამდე მიტანას უზრუნველყოფს.

რისკის შერბილება (mitigation) რისკის მისაღებ ზღვრამდე შემცირების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სახელმძღვანელო შემუშავებულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:

- დიდი ბრიტანეთის ფინანსური ანგარიშგების საბჭოს (FRC) მიერ მიღებული „სახელმძღვანელო სტრატეგიული ანგარიშის შესახებ“(2014);
- ევროკომისიის მიერ მიღებული „სახელმძღვანელო არაფინანსური ანგარიშგების შესახებ“.
- ფასს-ის პრაქტიკული სახელმძღვანელო (ხელმძღვანელობის ანგარიში);
- სახელმძღვანელო არაფინანსური ანგარიშგების შესახებ (არაფინანსური ინფორმაციის მომზადების მეთოდოლოგია)
- ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD)
- მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS)

**შენიშვნა:** დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები ექვემდებარება ცვლილებას, მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტის (ESRS) თარგმნისა და დარგობრივი შესატყვისების შეთანხმების შემდგომ.

სახელმძღვანელო წარმოადგენს განმარტებით დოკუმენტს და არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა. სამსახური პასუხისმგებლობას იხსნის მესამე პირების წინაშე ნებისმიერი სახის დანაკარგსა და ზიანზე. გზამკვლევის შინაარსსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის დებულებები.

## ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივისა და მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების შესავალი.

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა (CSRD) ადგენს მდგრადობის ანგარიშებასთან დაკავშირებულ წესებს იმ კომპანიებისთვის, რომელთა სათავო ოფისი მდებარეობს ევროკავშირში, ან იმ კომპანიებისთვის, რომელთა ბიზნესოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ევროკავშირში.

კომპანიებმა, რომლებსაც კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა (CSRD) ეხებათ, ანგარიშება უნდა წარადგინონ მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტების (ESRS) შესაბამისად.

ESRS სტანდარტები განსაზღვრავს ინფორმაციის გამჟღავნების ზოგად მოთხოვნებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით ოთხი მიმართულებით:

- მმართველობა
- სტრატეგია
- ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები
- საზომები და სამიზნე მაჩვენებლები

გარდა ამისა, ESRS ადგენს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი თემების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების სტანდარტს, როდესაც ისინი არსებითია ორგანიზაციისთვის:

- გარემოსდაცვითი
  - o კლიმატის ცვლილება
  - o დაბინძურება
  - o წყალი და საზღვაო რესურსები
  - o ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები
  - o რესურსების გამოყენება და ცირკულარული (წრიული) ეკონომიკა
- სოციალური
  - o საკუთარი სამუშაო ძალა
  - o ღირებულების ჯაჭვში მომუშავე პირები
  - o ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები
  - o მომხმარებლები და ანგარიშების საბოლოო მომხმარებლები
- მმართველობა
  - o საქმიანი ქცევა

<sup>18</sup> ევროკავშირში მსხვილმა საწარმოებმა ანგარიშება უნდა მოამზადონ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც გამოქვეყნდება 2025 წელს, ხოლო შედარებით მცირე საწარმოებმა 2026 და 2027 წელს. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების კომპანიებმა, რომელთა ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროკავშირში ხორციელდება 2028 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშება უნდა მოამზადონ 2029 წელს გამარტივებული სტანდარტების გამოყენებით.

სახელმძღვანელო შემუშავდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობით, IFC-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სამდივნოსთან SECO-სთან პარტნიორობით ხორციელდება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური  
მისამართი: ქ.თბილისი, მერაბ აღუესიძის N1 ტელ: +(995 32) 226 22 26  
ელ.ფოსტა: ინფო@სარას.გოვ.გე  
saras.gov.ge